



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

FEVRIER

1933—N° 86

თებერვალი

1933 წ.

№ 86

# დავით აღმაშენებლის

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ტ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ დ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—თავდაუსხმელობის პაქტი.  
 ს. მ—ლი—25 თებერვალი.  
 გენდ—აფხაზეთი უახლოეს წარსულში და დღეს.  
 ვაგ. პილინსკი—პოლონეთის განმ. ბრძ. ისტორ.  
 ალფა—საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან.  
 ეროვნული მოძრაობა მაჰმადიანთა შორის.

მ.—ანი—გერმანიიდან.  
 ნ. ჯ. ბიბლიოგრაფია.  
 საქართველოს ამბები.  
 ხარბინის ქართველთა შორის.  
 «სიბრძნე-სიცრუის წიგნი».  
 ვეფხის ტყაოსანი რუსულად და სს.

## თ ა ვ დ ა უ ს ხ მ ე ლ ო ბ ი ს კ ა ქ ტ ი

თავდაუსხმელობის პაქტი ძალაში შევიდა 15 თებერვალს, რატიფიკაციის გაცვლის დღეს მოსკოვში. ეს მოხდა ისევე მოულოდნელათ, უხმაურათ, როგორც პაქტის პროექტის პარაფი აგვისტოს 1931 წ.

ესლაც ყველას ახსოვს ის დიდი მითქმა-მოთქმა, რომელიც გამოიწვია ცნობილ პუბლიცისტ პერტინაქსის მიერ ამ პროექტის «ეკო დე პარი»-ში მხილებამ იმავე წლის შემოდგომაზე. პრესის დიდი ნაწილი გაკვირვებას გამოთქვამდა, უსაყვედურებდა პიერ ლავალის მთავრობას, როგორ გადადგი ასეთი ნაბიჯი, რას მოელი მოსკოვისგან, ბოლშევიკები ხომ უპირობო არიან, სიტყვას გასტეხენ და ჩვენ კი მოტყუებული დავრჩებითო. საგარეო სამინისტრო იძულებული შეიქნა გამოეცხადებინა, რომ პერტინაქსის სისწოროთ არ გადასცემს შინაარსსო, და ოფიციალურად «ტანი» კი სწორდა, მთავრობა არაფერ შუაშია, სამინისტროში რაღაც დასწერეს, მას კი არც განუხილავსო.


ამის შემდეგ თითქმის ერთი წელიწადი გავიდა, პაქტზე ჩამი-ჩუმიც არ ყოფილა, მაგრამ მოხდა შარშან მაისის არჩევნები და პაქტი ისევ ამოტივტივდარადიკალების და სოციალისტების ბლოკმა ვაიმარჯვა, შესდგა ერთი მთავრობა. ვახსოვთ, 1924 წელი. ასეთივე გამარჯვების შემდეგ ერთი საბჭოთა მთავრობა იცნო და აქედან ცხადი იყო, რომ 1932 წელს ერთი პაქტსაც ხელს მოაწერდა. ერთ თავის წერილში ერთი თავიც კი მოაქვს, რომ ეს ორი აქტი სწორეთ მან და არა სხვამ შეასრულა.

29 ნოემბერს 1932 წ. ერთი მოაწერა ხელი პაქტს, მაგრამ მეორე თუ მესამე დღეს განაცხადა, მე არ

მინდა პასუხისმგებლობა ავიღო, დეე რატიფიკაცია პარლამენტმა გააკეთოსო. და მართლაც, დღე-დღეზე მოელოდენ დებატებს პალატაში, კითხვა დასმული იყო საგარეო კომისიაში, რომლის თავმჯდომარე თვით ერთი არის, და ქვე-კომისიაში მოხსენებაც დაამზადეს, ხოლო მისი ავტორი მოსკოვის ცნობილი ადვოკატი ტორესი იყო, დღეს დეპუტატი.

და მიუხედავად ამისა, დალაღიეს მთავრობამ და მისმა საგარეო მინისტრმა პოლ ბონკურმა პარლამენტის დაუკითხავათ უყვეს პაქტს რატიფიკაცია. კონსტიტუციის ძალით მთავრობას უყვევლათ ჰქონდა ამის უფლება, მაგრამ ეს ვერ შეარყევს იმ ფაქტს, რომ წინანდელი განზრახვა, პარლამენტისთვის მიენებებიათ ეს აქტი, განუხორციელებელი დარჩა. იქ მაინც იქნება დებატები, ამისათვის სათანადო რეზოლუციის პროექტი შეიტანა ტორესმა, მაგრამ ამას გავლენა არ ექნება თვით პაქტის ბედზე, ის უკვე ძალაშია, როგორც ვსთქვით.

პაქტის ეს მოკლე ისტორია დამახასიათებელია არა იმდენათ, რა თქმა უნდა, რადიკალების და სოციალისტებისთვის, რომელნიც ყოველთვის მოსკოვთან მორიგების მომხრენი იყვენ, არამედ დღევანდელ რთულ საერთაშორისო მდგომარეობისათვის. ერთი თვეც არ გასულა და რამდენათ შეიცვალა სურათი! გერმანიაში პიტლერის გაქანცლერება, ხმები იტალია-უნგრეთ-გერმანიის სამხედრო კავშირზე, გაერთიანება მკირე ანტანტის დიპლომატიისა, იაპონიის გასვლა ერთა ლიგიდან და მოსალოდნელი ომი შორეულ აღმოსავლეთში... განმარტება ზედმეტია, ცა ძალზე მოღრუბლულია, როგორც იტყვიან.



ამ მოვლენებმა იქონია, უქველათ, გავლენა პაქტის რატიფიკაციის დაჩქარებაზე. არ უნდა დავივიწყოთ, მოსკოვმაც კარგათ შეარჩია დრო, მისი დელეგატი ლიტვინოვი თვალთმაქცურათ მიემხრო საფრანგეთის ზოგიერთ დებულებას განაზღვრების კითხვაში ენევეაში. ის, ასე წარმოდგინეთ, თავდამსხმელის განსაზღვრასაც კი შეუდგა, და იცით რა სიტყვა, სხვათა შორის? თავდამსხმელი ისაა, ვინც, ომის გამოუცხადებლათ, დაესხმისო! «უბრალე დე ქენევის» დირექტორმა უან მარტენმა მეთაური უძენა ამ ურცხვ გამოსვლას და სიტყვა, დიან, როგორც საბჭოთა რუსეთი დაესხა საქართველოსო!

რალა გავაგრძელოთ, ლიტვინოვის გამოსვლას კარგი პრესა ჰქონდა პარიზში: შეხეთ, მოსკოვი დაქვიანებულა, მხარს გვიჭერსო! პოლ-ბონკურიც ხომ ენევეაში იყო, ქათინაურები, დაპირებები და... რატიფიკაცია, გასაგებია. ცხადია, არც პარლამენტში შეგვდებდა მთავრობას დიდი დაბრკოლება, პაქტს მოიწონებს ზოგიერთი გუშინდელი მოწინააღმდეგეც.

მაგრამ ნიშნავს ეს, რომ საფრანგეთი შეცვლის თავის პოლიტიკას მოსკოვის მიმართ? საფრანგეთი აქამდის ყველაზე თავშეკავებული სახელმწიფო იყო ამ მხრივ. მართალია, მან იცნო მოსკოვი, გაჭრობს ცოტათი მასთან, თუმცა საზარალთ თავის ბალანსისთვის, მაგრამ პოლიტიკურათ უნდობლათ უყუოებდა მას. საბუთიც ჰქონდა, რადგან მოსკოვს ერთი წუთითაც არ შეუჩერებია თავისი დამრღვევი პროპაგანდა საფრანგეთში, განსაკუთრებით მის კოლონიებში. ერიოს სწორეთ ამ პროპაგანდის აღკვეთა სურდა. ამაო ოცნება!

ელლა კითხეთ მოსკოვს. მისი ოფიციალური «იზვესტია» დიდის ზეიმით დღესასწაულობს გამარჯვებას. ინტერვენციონისტი საფრანგეთი მოვარჯულებთ, ლიტვინოვის სიტყვამ ენევეაში მოხიბლა მისი მემარჯვენე პრესა და მემარცხენე მთავრობამ ვაბედა პაქტის დამტკიცებაო. შემდეგ «იზვესტია» ირწმუნება, რა თქმა უნდა, ჩვენსა და საფრანგეთს შორის ინტერესთა წინააღმდეგობა არ არსებობს, ისე როგორც მის მოკავშირე პოლონეთთან—შეურიგებელ რუმინიას კი აფეთქებს!—მხოლოდ, განაგრძობს ის, პოლიტიკურ თანამშრომლობას ეკონომიური თანამშრომლობა უნდა დაედოს საფუძვლადო.

ნუ გგონიათ, რომ ეს მარტო «მარქსისტული» დასკვნაა. მოსკოვს ამოძრავებს ერთად ერთი მოტივი—დაიხმაროს საფრანგეთი და იხსნას დიქტატურა. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, უცხოეთმა ბევრჯერ იხსნა საბჭოთა დიქტატურა. მაგრამ დადგა მომენტი, როცა ეს შეუძლებელი ხდება. უცხოეთი თვითონა გრძნობს ესლა, რომ ეხმარებოდა თავისივე მოსისხლე მტერს, რომ ასეთი პოლიტიკის გაგრძობა დიდ საშიშროებას წარმოადგენს მისთვის.

მაგალითისთვის არაა საქირო შორს წასვლა. აიღეთ პიტლერი და მის მიერ ომის გამოცხადება «მარქსიზმისთვის»; რასაკვირველია, ამაში ის გულიანხმობს მთელს დემოკრატიას, მაგრამ ურყევია ის ფაქტი, რომ გერმანია ვერ შესძლებს ესლა, კიდევ რომ

სურდეს, განაგრძოს დახმარება. როგორც ერთმა ინგლისელმა ექსპერტმა განაცხადა, მოსკოვი უკვე გაკოტრებულია, ის ვერ იხდის ვალს და ვექსილებს «გადაწერით» მალავს ამ ფაქტსო.

ასეთ დროს «ეკონომიური საფუძველი» პირდაპირ მისწრებაა მის დიქტატორულ «ხედნაშენისთვის». ხომ ვიცით, სტალინი უკანასკნელ ბრძოლას აძლევს გლახობას, მუშებს, თავის საკუთარ პარტიას, მაშასადამე, საქიროა ფული, ფული და კიდევ ფული.

საფრანგეთის ბანკის სარდაფები ოქროს ვერიტეესო—არის განვაში ყველგან და პირველ რიგზე მოსკოვში. რალა გასაკვირია, ნერწყვ-მორეული კრემლი აქეთკენ აპოტინებდეს ხელს. ამ შემთხვევაში საეჭვოა ერიოც რამეს ვახდეს. ის სწერს, რომ მან უარყო ფონ პაპენის წინადადება გერმანია-საფრანგეთის სამხედრო კავშირზე საბჭოთა წინააღმდეგ, მაგრამ ისე შორს მანაც ვერ წავა, რომ ამას ოქროც ზედ დაახრიალოს, მით უფრო, ეს მასზე არაა დამოკიდებული. ფრანგის ხალხმა იცის არა მარტომ შოვნა, შენახვაც. 25 მილიარდი ოქრო შეაქამა ძველ რუსეთს, ბოლშევიკებმა უარყვეს ეს ვალი, მაშ გაკვეთილიც არ აკლიათ.

ყველა ამით იმის თქმა როდი გვინდა, რომ ბოლშევიკებს ბედი არ სწყალობთ. პირიქით, არა ერთხელ გავვისვამს ხაზი, რომ ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება ხშირათ სდგება მათთვის და ისინიც სარგებლობენ. აი, თუ გინდ დღესაც! საფრანგეთმა პაქტი დაამტკიცა თვით ბოლშევიკებისთვის მოულოდნელი სიჩქარით, ამის მთავარი მიზეზია პიტლერი, როგორც ესლა არავინ მალავს. მარტში მოსალოდნელია რუხველტმაც იცნოს მოსკოვი, ამერიკის სახელით, და მიზეზი კი, რა თქმა უნდა, შორეულ აღმოსავლეთის გართულება იქნება.

მაგრამ სულ სხვა კითხვა სდგას ამ ქამად საერთაშორისო წეს-რიგში: მშვიდობიანობა თუ ომი, ცივილიზაცია თუ ბარბაროსობა, წესიერება თუ ანარქია? ვეროპის, ამერიკის, თვით აზიის მმართველი წრეები ამ საბედისწერო კითხვის წინ სდგანან და, უნდათ, არ უნდათ, იძულებულნი არიან იბრუნონ მის გადასაჭრელათ.

როგორ შეიძლება, მაგ., მშვიდობიანობის და წესიერების დაცვა, როცა ქვეყნიერების ერთ მეექვსედში არსებობს ისეთი რეჟიმი, რომლის მიზანი და მისწრაფება იმაში გამოიხატება, რომ ქვა ქვანედ არ დასტოვოს დანარჩენ ხუთ მეექვსედში? ვინ არ იცის ესლა, რომ სტალინი და მისი პოლიტიბიურო მზათ არიან, დაამშონ მილიონები, ოღონდ რაც შეიძლება მეტი წავლიჯონ სახელმწიფო ბიუჯეტს და მსოფლიოს ასაფეთქებელ მასალად აქციონ? ვინ არ იცის, რომ კომინტერნი, კომპარტიები და სხვა დამხმარე ორგანიზაციები მხოლოდ იარაღია მათ ხელში?

დაწინაურებულმა ქვეყნებმა დიდად დაიშავეს თავის თავის წინაშე, რომ დროზე ვერ აუღეს ალღო ბოლშევიკურ საშიშროებას და არ შეწყვიტეს მოსკოვის დახმარება. ესლა ამ დიდ ეკონომიურ კრიზისის და უმუშევრობის ხანაში ისინი ხედვენ, როგორ



ვერაგულათ უხდის მათ მოსკოვი. დაწინაურებულმა ქვეყნებმა კიდევ უფრო მეტი დააშავეს საბჭოთა კავშირის ერთა მიმართ იმით, რომ ხელი შეუწყვეს საშინელ რეჟიმის განხორციელებას.

ერთი ამბობს, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირის 160 მილიონ რუსის ხალხთან მეგობრობა, მაგრამ მას ავიწყდება ორი რამ: პირველი ის, რომ თავდაუხსნელობის პაქტი ნიშნავს მეგობრობას არა ხალხთან, არამედ მის მტარვლებთან, და მეორე ის, რომ

160 მილიონის ნახევარი არ არ უსია და ეს ერები დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

კმარა. საბჭოთა კავშირის რუსის და არა რუსის ერნი ჩაბმულნი არიან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სისხლიან დიქტატურასთან, ვისაც არ სჯერა, წაიკრთოს სტალინის სიტყვები. ისინი ადრე თუ გვიან ბოლოს მოუღებენ დიქტატურას და, საფიქრებელია, არ დაუმაღლებენ მათ, ვინც დღეს მას ამავრებს.

25 თებერვალი

25 თებერვალი ტანჯვის, ტყვეობის და ბოროკილების დღეა.

დღევანდელ დღეს საქართველოს მესაფლავენი წეიმობენ თავის გამარჯვებას, ერთი კი, ძაძებში მოსილი გლოვობს უსწორო ბრძოლაში დამარცხებას, ძალადობისადმი მორჩილებას. ისინი ხითხითებენ და ნებივრობენ, საქართველო კი გმინავს და იტანჯება.

თორმეტი წლის წინ ქართველმა ერმა დაკარგა უდიდესი განძი—თავისუფლება და მიიღო უსაშინელები ტანჯვა-წამება. ერის უღირსი შვილები თავს დაეცნ მშობელ ქვეყანას უცხო ძალებით, იგი დაიპყრეს, გაბაწრეს და ასე ხონჩაზე დადებული ძღვნათ მიართვეს თავის მბრძანებლებს. სამაგიეროთ მოელოდნ ჯილდოს და თბილ ადგილებს; ქართველი ხალხის ტანჯვით—ბედნიერებას, ქართველი ერის ძვლებზე—თავის კეთილდღეობის მოწყობას. მაგრამ მოსტყუდენ მოლალატენი! მუხთაღმა მოსკოვმა მათაც საქართველოს ბედი გაუზიარა. სად არიან დღეს შულავერის გმირები: ბ. მდივანი, ს. გეგეჭკორი, ბ. კვირკელია, ლ. დუმბაძე, კ. ცინცაძე, მ. ოკუჯავა და სხვანი? ზოგი გადასახლებაშია, ზოგმა ანძრახ სიცოცხლეს სიკვდილი არჩია, და ზოგი კი ვიგინდარა ბერიას ყურმეჭრილ მონათ გდია.

აი ბედი მოლალატეთა, აი ისტორიის შურისძიება ჩადენილ ლალატისათვის!

25 თებერვალს მოსკოვის მიზანი იყო ჩვენი კვლავ ჩაბრუნება რუსეთის ფარგალში, რომ ამით საქართველო გაეხადათ რუსული იმპერიალიზმის გზა დახიდათ ახლო აღმოსავლეთის და შორეულ სამხრეთის მიმართულებით. და აი, ამ პოლიტიკის მედროშეთ გამოვიდნ ქართველი მოლალატენი. მათ გაყიდეს სამშობლო და სამაგიეროთ მიიღეს ჯერ სამსახური—მერე კი ციხე და სიკვდილი!

25 თებერვალი, ეს ქართველი ერის გლოვის და გმინვის დღეა. ერთი თავისუფალი, აღორძინებული, ახალი იდეალებით და იმედებით ვატაცებული, ამ დღეს დაატყვევა, შებორკა რუსეთის დესპოტიამ და თავის კოლონიად გაიხადა.

მარა რას წარმოადგენს დღეს ეს მპყრობელი დესპოტი?—ის სულიერად დაწრეტილია, ეკონომიურად დაშლილი და მორალურად გაჩანაგებული. ას მილიონიანი გლეხობა მოსკოვმა თავის მტრად გამოაცხადა, უკანასკნელი პერანგი გახადა და თავი კოლო-

ნოში უკრა. მუშათა კლასი ძველ, ბატონყმურ ხანას დაუბრუნა და კისერზე მონობის უღელი დაადგა. ამ საშინელ პოლიტიკურ და სოციალურ რეაქციას ვერც კომპარტიამ გაუძლო და ის თავის ბატონს—პოლიტიკურს—აუჯანყდა. პარტიის მასიური წყენდა უკმაყოფილო ელემენტებისაგან ამის უტყუარი მაგალითია. ერთი სიტყვით, მტერი ოკუპანტთა ოჯახში გაჩნდა და ის მოსკოვს წაღეკვით ემუქრება. არ სძინავს ჩაგრულ ერებსაც. ისინი იღვიძებენ და ბრძოლის პოზიციებს იჭერენ, გადამწყვეტი ბრძოლისათვის ძალას იკრებენ. ყველაფერი ეს საქართველოს აქტივია, ხოლო მტრის პასივი. 25 თებერვლის გლოვის დღეების—წეიმით შემცვლელია, იმედის და აღფრთოვანების მომგვრელია.


საქართველოს ისტორიას არა ერთი და ორი შავი დღეები ახსოვს. მის სახელმწიფო ხომალდს უსაშინელები ისტორიული ქარიშხლები გაუვლია; მის მკერდს მრავალი მძლავრ სახელმწიფოთა ტალღები შეხეთქებია, მაგრამ ის მაინც ნაპირს გასულა. აბა სად არიან ეხლა ოდეს ძლიერნი—ირანის, ბიზანტიის, რომის, არაბეთის და სხვა უძლევი სამეფონი, რომლებიც საქართველოს დამონებას და გაქრობას ლამობდენ?! ისინი გაქრენ, საქართველო დარჩა და თავისი დროშა მეოცე საუკუნეში შეაფრიალა.

ეს დროშა დღეს სარდაფშია, მტარვალთაგან კანონს გარეშე გამოცხადებული. მაგრამ ის მაინც ფრიალებს ქართველი ერის გულში. ის იმედის და გამარჯვების ემბლემაა. ამ გზას მიყვება საქართველო შეუდრეკლად, უტეხად. მან იცის რა უნდა. მას არ აშინებს აღმართი, გზა ეკლიანი, რადგანაც იცის ქედის გადაღმა შვება და თავისუფლება.

განვლეთ თორმეტი წელი, სისხლთა მორევის, აუწერელი ტანჯვის, განუზომელი ტკივილების, მაგრამ ჩვენი დროშა ძირს არ დაშვებულა, ქართველ ერს ქედი არ მოუხრია. ის ამ ტანჯვაში განიბანა, გააქაჟა და მომავალს იმედით შეყურებს.

დგება გარდატეხის ხანა. ახლოვდება მტარვალთ-განკითხვის ქამი. 26 მაისით შეიცვლება სისხლიანი თებერვალი. გამოვიდენ უკვე დასაფლავდენ, ჯერი ბატონზეა. მეორე პირველის გზას უნდა გაყვეს ეს ურყევი კანონია.

მტრის მომავალი საფლავია. საქართველოსი—შვება და თავისუფლება!



### აფხაზეთი უახლოეს წარსულში და დღეს

(წერილი საქართველოდან)

#### 1. საერთო მდგომარეობა.

საქართველოს ბუნებრივი სილამაზე, სიმდადრე და გეოგრაფიული პირობები, ჯერ კიდევ წარსულში, მრავალ ხალხს იზიდავდა. ქართველი ერი თავგანწირული ბრძოლით იცავდა მშობლიურ კერას და მამაპაპათა საფლავებს; მაგრამ მტერი ზოგჯერ მაინც თავის ზრახვებს ისრულებდა, რომელიმე კუთხის ჩამოჭრით და იქ მისი გავლენის გაძლიერებით. ასეთი ბედი უფრო მწვავე და საგრძნობი წილად ხვდა, აღმოსავლეთში: ახალციხის, ახალქალაქის და ბორჩალოს მხარეებს, ხოლო დასავლეთში: აჭარისტანს და აფხაზეთს. აფხაზეთმა იგი ისეთი საშვალეებით განიცადა, რომ მისი ტერიტორიიდან სრულიად აღგავა მტერმა ადგილობრივ მცხოვრებთა დიდი ნაწილი. საკმარისია გავიხსენოთ უბიხების საშინელი ხვედრი, რომ ზემოდ თქმული ნათელი გახდეს (უბიხები აფხაზეთის ერთი დიდი ნაწილია, რომელიც გაანადგურეს მე-19 საუკუნეში).

მას შემდეგ, რაც საქართველოში ფეხს იკიდებს მეფის რუსეთი, აფხაზეთის ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა.

მთიული ბუნებისა, საკუთარ წეს-კანონს შეჩვეული აფხაზი ვერ ეგუება დამპყრობელ რუსეთის ულელქვეშ ყოფნას და გააფთრებით იბრძვის მის მხარეში მოთარეშე რუსის ჯარების წინააღმდეგ.

წინად აფხაზეთი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო კუთხე, საქართველოს ჰირისა და ლხინის სრული მონაწილე იყო. რუსეთთან ბრძოლაში კი იგი ვერ დაუჯავშირდა სხვა კუთხეებს და მარტო დარჩა. დამარცხებულმა აფხაზებმა მთებს მიშურეს; შავი ზღვის სანაპიროები კი უცხოელებს დაუთმეს. ზოგი მათგანი მთელი გვარეულობით ოსმალეთში გადაიხვეწენ, ზოგი კი მტრის მახვილით იქნა განგმირული. ხოლო მთებში გახიზნული აფხაზები მეტად რთულ პირობებში მოექცენ. ყოველგვარი ახალი მათგან მოწყვეტილი იყო, ძველი კი გავლენა დაკარგული. ძველი ზნე-ჩვეულებანი ეკარგებოდათ, ახალი კი მათში არავის შექონდა. თუ კი ვინმე აფხაზს მისწვდებოდა, ცდილობდა იგი როგორმე მოეტყუებია, ესარგებლა მისი ჩამორჩენილობა და მისგან რაიმე დაეცანცლა. ამ მიზნით წარსული საუკუნის უკანასკნელ წლებში აფხაზეთს ხშირად ეტანებოდადენ ეპურები და ჩარჩები, მსგავსად ძველი დროის ბერძენ-რომაელებისა. რომლებიც თავის ქარავენებს ხშირად მიაყენებდნენ თანამედროვე ფოთისა და სუხუმის მხარეებს. აფხაზეთი ყველას ერიდებოდა, ყველას გაურბოდა და ცხოვრობდა თავისთვის წნელისაგან ლამაზად დაწულ ქოხში. ამ ქოხების გარშემო დათარეშობდნენ კბილებამდე შეიარაღებული რუსის ჯარი და არშინ-სასწოროთ ხელოში ჩარჩ-ვაჭრები.

აფხაზის თავზე დატრიალებულმა ბორბლები და გაჭვივებამ ის მოთმინებიდან გამოიყვანა, გაამწარა და გააბოროტა. ხშირად იგი ტყედ გადიოდა

და პარტიზანულ ბრძოლას აწარმოებდა მტრის წინააღმდეგ. ყველა ამის გამო აფხაზი ხშირად სხვა ქართველებთან ერთად ციმბირის გზას უდგებოდა. აქ ზოგი მათგანი უახლოვდებოდა ჩვენს რევოლიუციონურ ძალებს და მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ამბები მისთვისაც გასაგები ხდებოდა. მაგრამ ეს არ იყო საქმაო და არც სისტემატიურ ხასიათს ატარებდა; ამიტომაც იყო, რომ 1905 წლის და შემდგომ ქარიშხალიან ამბებს აფხაზებზე დიდი გავლენა არ მოუხტენია (მხედველობაში მაქვს აფხაზეთით დასახლებული ადგილები). თვით აფხაზეთში არ ხდებოდა მასიური აგიტაცია-პროპაგანდა, როგორც ეს საქართველოს სხვა კუთხეში იყო. აფხაზეთის ამ სფეროში ჩამორჩენის მიზეზი ის იყო, რომ აფხაზი ქალაქად სამუშაოდ და საქირაოდ იშვიათად გადიოდა და, მამასადამე, იქიდან ახალი აზრების მომტანი და გამავრცელებელი კადრები არ ყავდა. სხვა ქართველები კი ამ საქმისთვის აფხაზეთში ვერ გამოდგებოდნენ, რადგან აფხაზეთი ენა მათ არ იცოდნენ. პრესაც ვერავითარ როლს ვერ ითამაშებდა ამ შემთხვევაში, რადგან აფხაზეთი ანბანი და არც ლიტერატურა არ არსებობდა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე მკვლევართაგან შედგენილ მეცნიერულ ხასიათის შრომებს და ცდებს აფხაზეთი ენის შექმნისას). პოლიტიკური ორგანიზაციები არსებობდა მხოლოდ არა აფხაზ მოსახლეობაში. ამ რიგად 1917 წელში რევოლიუციაც ვერ იქნა სათანადოთ ათვისებული აფხაზ გლეხის მიერ.

თებერვლის რევოლიუციამ აფხაზეთს ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებს თავს მოაშორა ცარიზმის უღელი და იგი საქართველოს დამდუკი-ცებლობის დღიდან კვლავ დაუბრუნდა იმ საერთო ეროვნულ ოჯახს, რომელთანაც მას აერთიანებს წარსული და მომავალი. ამ დღიდან აფხაზი გლეხი შეუდგა თავისი ოჯახის ახალ საფუძველზე აგებას, მაგრამ ამის საშვალეება მას არ მიეცა, ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის გამო.

როგორც ვთქვით, პოლიტიკური ორგანიზაციები აფხაზეთის მოსახლეობაში არ იყო და ამის გამო აფხაზი პოლიტიკური ტუხასის რიცხვი გვყავდა ძლიერ მცირე. ციხეებში და გადასახლებაში იყვნენ უმთავრესად სისხლის სამართლის დამნაშავეები. რევოლუციამ, ცხადია, ისინიც გაანთავისუფლა და სამშობლოში დაბრუნდნენ, მაგრამ აქ ისინი ჩვენს ხელისუფლებას ვერ შეეგუენ. მათ ძველ საქმიანობას ხელისუფლება ფრთებს აკვეცდა, ხოლო ახალი საქმიანობისა და აღმშენებლობისთვის ისინი ვერ გამოდგნენ. მით უმეტეს ასეთ ხალხს ხელს სჭიდებდა რუსეთიდან შემოპარული ბოლშევიკების აგენტები. ამგვარად ბევრი ქურდი და ავაზაკი რუსეთს შეეკედლა, ან რუსეთის ბოლშევიკების კარნახით შეუდგა იმ ხალხის მოტყუებას, რომელიც რევოლიუციას ასე მოუშაადებელი შეხვდა. ამ ავაზაკების



ბრბოს ემატება წრე პროფესიონალური «კარტოჟინკებისა», რომლებიც დღეებს ყავახანაში აღამებდენ კარტისა და ნარდის თამაშში. ღამით კი ზმირად იქვე იძინებდენ, რომ მეორე დღეს ისევ გაეგრძელებიათ დაწყებული «საქმე».

ამ უკანასკნელთა ჯგუფს ეკუთვნის დღევანდელი აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარე და ბოლშევიკი საკმაოდ ცნობილი მელა კაცი ნესტორ ლაკობა— დაბადებული სოფ. ლიხინში, გაზრდილი გუდაუთაში უსაქმურობასა, კარტისა და ნარდის თამაშში. მას კარგათ იცნობენ გუდაუთის ყოფილი ყავახანათ პატრონნი, როგორც «კარტოჟინკს» და ზენდაცემულს.

აი ასეთი ხალხი მოექცა ოპოზიციაში ჩვენს მთავრობას და მიემხრო დამპყრობელებს.

1921 წლის ბოლშევიკების ლაშქრობაში საქართველოს დასაპყრობათ ეს ჯგუფიც ურევია და ესენი ყველაზე საშინელი სურათების შემქნელი იყვენ ბოლშევიკების მიერ ქალაქის ან სოფლის დაპყრობის დროს: ცარცვა ოჯახის, ცემა, უმიზეზო მკვლელობა უიარღო ხალხის— აი ამ ჯგუფის «საქმენი საგმირონი». მათ, რასაკვირველია, მფარველობას და დახმარებას უწევდა წითელი ჯარის სამხედრო მარტოვლობა. უსამართლობა აფხაზეთში დაპყრობის დღიდანვე დაკანონდა და მის შემდეგ შეუწყველად ტარდება.

რას შვრება დღეს ეს ბრბო?

რა თქმა უნდა, ჩუმაღ ტყეში გადაჯდომით არავის კლავს, რადგან ვისი მოკვლაც უნდა, შეუძლია ის ჩეკაში მოიყვანოს და იქ მოაკლას. შუტრისძიების ასპარეზი ამ არამზადებისათვის სწორედ ჩეკაა. ჩუმაღ არც არივის ცარცვას, რადგან მთელი სახელმწიფო დოვლათის ნიწილი მათ ხელშია და ხალხის ლეგალურად ცარცვის მანდატები ხელში უჭირავთ. ცხოვრობენ ისე, როგორც არც ერთი დროის ტირანებს არ უცხოვრიათ და ხალხის ნაცარცვით ფუფუნებენ— დროს ატარებენ!

ბოლშევიკების გაბატონებისთანავე ნესტორ ლაკობა თავის საკუთარ მამულში ლიხინში მშვენიერ ორ სართულიან სახლს აგებინებს, ისე კი საცხოვრებელი სახლები აქვს სოხუმში და გუდაუთაშიც. ასევე ახვეა მისი მსგავსი ბოლშევიკები, რომლებსაც აფხაზეთის დოვლათი ხელთ უპყრიათ.

მთავრობაში ყოფნა, ან ნათესავური დამოკიდებულება მთავრობის პირებთან გამდიდრების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ამის გამო ყველა მოხერხებული აფხაზი ცდილობს გაბატონებულ წრესთან დაახლოვებას. ზმირად აფხაზები გვარს იცვლიან და ირქმევენ— ლაკობას, რომ მეტი გასავალი და ურჩეთ. მაგ., ცვიება და გრიგორია, რომლებსაც კარგად იცნობდა ხალხი, თხოულობენ გვარების გამოაცვლას. ესლა, როგორც ერთს, ისე მეორეს იცნობენ, როგორც ლაკობას. ან რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მთავრობაში, ან მთავრობასთან ახლო ყოფნას

ამის ერთი მაგალითიც: 2 ივნისს გარდაიცვალა ცნობილი კულაკი (ბოლშევიკების ტერმინოლოგიით) ზილატინციკი ოტირბა და დასაფლავების ხარ-

ჯვბათ მიიღო ლაკობასაგან 8 ათასი მანეთი. აფხაზეთის ყოველი კუთხიდან მოწვეული იყო ხალხი და მთელი ოთხი დღე გაშლილი იყო სუფრა აფხაზური წესით და არაჩვეულებრივი «ალაპის» სახით. ეს თანხების გადადება და ასეთი დიდი ამბავი დაკრძალვის დღეს იმით იქნა გამართლებული, რომ თითქოს ეს ოტირბა ყოფილიყო წინად წითელი პარტიზანი, მაშინ როდესაც ის ბრძოლაში არავის უნახავს. ყველა ეს გამოიწვია იმან, რომ იტირბა ნათესავი იყო «უდიდესი პირის აფხაზეთში»— ლაკობასი.

ესლა განვიხილოთ, რას წარმოადგენს თვით იმ გლეხების მდგომარეობა, რომლებსაც ბოლშევიკები გაბედნიერებას პირდებოდენ, თუ კი ბოლშევიკში დამყარდებოდა.

აფხაზეთის გლეხობა იმით ცხოვრობდა, რომ თავის ოჯახის ნაწარმოებს: თამბაქოს, ღვინოს, არაყს, სიმინდს თუ შინაურ ფრინველ-საქონელს ბაზარზე ყიდდა და ოჯახისათვის საჭირო საგნებს იძენდა. ბაზარი მას ყოველთვის ქონდა ნავთ-სადგურების სიანლოვის გამო. ბოლშევიკების მიერ ჩვენი ქვეყნის დაპატრონების შემდეგ ვაჭრობას ყველაზე ადრე აფხაზეთში გამოეცალა საფუძველი. მთელი ვაჭრები უმეტეს შემთხვევაში ისე იქნენ გაცარცული დანარჩენ მცხოვრებლებთან ერთად, რომ ნებართვა და სურვილიც რომ ყოფილიყო, საამისო კაპიტალიც აღარ ქონდათ. ამას ზედ დაერთო ვაჭრობის მონაპოვია, განსაკუთრებით იმ საქონელზე, რომელსაც აფხაზეთი იძლეოდა (თამბაქო, ღვინო, არაყი და სხ.). ყველა ამის გამო მთელი სავაჭრო საქმიანობა კოოპერაციის ხელში გადავიდა, ხალხს ეს უკანასკნელი კი მთავრობის იარაღად გადააქციეს მასის ეკონომიურად დასამორჩილებლად და ამ რიგად, მთელი გლეხობის ეკონომიური ცხოვრების რეგულიატორად მთავრობა გახდა. როგორც ავღანიშნეთ, ბოლშევიკებმა ვაჭრებს ხელიდან გამოგლიჯეს არშინი და სასწორი, რომ ამიერიდან თვითონ ეწარმოებიათ მასის ექსპლოატაცია იმ ხერხით, რითაც მას ვაჭარი აწარმოებდა. ამაში ძველი გამოცდილი ვაჭრებიც დაიხშირიეს და ასე სმა შეწყობილი შეუდგენ ხალხის დოვლათის ფუჭვნას. ამის მაგალითები ბევრია აფხაზეთში, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს მოვიყვანთ.

ესტატე გვიგებრია, გუდაუთში ცნობილი ვაჭარი, თავის არშინ-საწორს შეყვა კოოპერატივში. იქ «დასადგომი მისცეს დასაწოლი თვითონ მონახა», კოოპერაციას დიდი მოგება ანახვა და წაგებული არც თვითონ დარჩენილა. გლეხების და საერთოდ მომხმარებლების საუკეთესოდ გაფუჭვნისა და მოგების გადიდებული ციფრებისათვის მთავრობის იმდენი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა, რომ დიდის ზემით ბოლშევიკობა უბოძეს. ამ ყამად ძველი ვაჭარი და ახლა ცნობილი ბოლშევიკი ესტატე გვიგებრია მთელი რაიონული კოოპერაციის და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელად ითვლება გუდაუთაში და ცხოვრობს ისე, როგორც შეეფერება კარგ ცხოვრებას შერჩეულ კაცს და ბოლშევიკურ «სინდისს».

ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ რო-

გორი ხალხი ემატება ჩვენს მიერ ხსენებულ ბოლშევიკურ წრეს; ვინ აგებს და ვინ იგებს იმ სისტემით, რომელსაც ბოლშევიკები მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას ეახიან.

მას შემდეგ, რაც გლეხის საქონელს გზა მხოლოდ კოლპერაციაში დაურჩა, იწყება გლეხების საშინელი ექსპლუატაცია. გლეხისაგან სოფლის მეურნეობის ნაწარმები: თამბაქო, ღვინო, პარკი და სხვა, მიაქვთ ისე, როგორც მოვსურვებათ, საქონელს კი აწვდიან ძლიერ ცრტას და ისიც არაჩვეულებრივ გაზრდილ ფასებში. ამ გარემოებას ბუნებრივად თან სდევს გლეხის ოჯახის დაქვეითება. დეფიციტი ოჯახში მატულობს და სიტუაციულ და გაჭირვება ბუდდება. ხმის ამოღება იწყებს ხალხის დაპატიმრებას, გადასახლებას და დახვრეტას.

დრო და დრო სოფლებში თავს იჩენდა სერიოზული უკმაყოფილება, მაგრამ ამას ბოლშევიკები თვისებურად აცხრობდნენ. ყველაზე ძლიერი მოძრაობა, რომელსაც სტიქიური, მაგრამ მაინც ორგანიზაციული სახე ქონდა—იყო 1930 წ. ქალთა მოძრაობა გალისა და სოხუმის რაიონში და 1931 წლის სერიოზული გამოსვლა აფხაზი გლეხების, რასაც შემდეგ მოყვა გლეხების მხრივ ძველებური კრებები «წმიდა ადვილებთან», ფიცი და შემდეგ შეიარაღებული ძალების შეჯახება ჩეკის რაზმებთან. ხელისუფლების მხრივ ჯერ რბილი ზომებით დამშვიდების ცდა, შემდეგ ტყვის მფრქვევლებით და იატაფებით გამასპინძლება.

შევხვით ჯერ პირველს—ქალთა მოძრაობას. როგორც აღვნიშნეთ, გლეხის ცხოვრება თანდათანობით უკან მიდიოდა დღიდან ბოლშევიკების გაბატონებისა. გარდა არაპირდაპირი გადასახადისა, რომლის საშვალეობას ფართეთ იძლევა ბოლშევიკური კოლპერაცია, გლეხებს მძიმე ტვირთად აწევებოდა ე. წ. სასოფლო სამეურნეო გადასახადები, კულტურული გამოსაღები, ერთდროული დაბეგვრა, თვითდაბეგვრა, ობლიგაციები, სასკოლო გადასახადები მოწაფეთა მშობლების და სხვა. და აი 1929—30 წელში აფხაზურ ოჯახებში უკმაყოფილებისა და გაჭირვების გრძობები იქამდე მივიდა, რომ უკვე გადმოხეთქა ქალთა მასიურ გამოსვლების სახით. ჩვენს ქვეყანას არ ახსოვს ქალების ასეთი მეტრძოლი სულით აღჭურვა და გამოსვლა ხელისუფლების წინააღმდეგ.

პირველად მოძრაობა დაიწყო აქა იქ და ხელისუფლებამ მაშინვე მიიღო ზომები. დაპატიმრა რამდენიმე ქალი და გაგზავნა სოხუმში. ამან მოძრაობა ვერ შეაჩერა. აქ არ ყოფილა არავითარი ორგანიზაციული ხელი. ეს იყო დედათა პროტესტი იმათ წინააღმდეგ, ვინც ამ დედების და მათი ქმრების ნამუშევარს ითვისებს. დაპატიმრებამ ქალები კიდევ უფრო აახმაურა და 1930 წ. ზაფხულის ერთ საღამოს ქალები დადიან და აფრთხილებენ ყველა ქალებს, რათა მეორე დღეს ერთად წავიდნენ სოხუმში და იქ სოხუმელ ქალებთან ერთად გამოვიდნენ. მეორე დღეს მართლაც ქალები ფეხშიშვლი და დახეული კაბებით, ჯოხით ხელში გაუდგენ გზას. მოხდა ისე, რომ ყველა ამ ქალებმა თავი მოიყარეს სოფ. გურიძეში,

სოხუმთან ახლოს. აქ ხელისუფლების წარმომადგენელი დახვდათ და დაუწყო ქალებს მუქარა და ყვირილი. პირველად ქალებმა არაფერი უთხრეს, მერმედ კი მისცივინდენ კეტებით წარმომადგენელს, რომელმაც თავს უშველა ოთახში ჩაკეტვით. ჩქარა ეს ამბავი მოვიდა ლაკობას ყურამდე და იგი ავტომობილით იქ გაჩნდა. ცბიერი ლაკობა ცდილობს ქალებთან ტკბილი ტონით ლაპარაკს, ადასტურებს ქალების ჩივილს და ყოველგვარ უსამართლობას ხსნის დაბალი მოსამსახურეებისაგან ხელისუფლების პოლიტიკის უხეში დარღვევით, რისთვისაც ყველა მათი დასჯა აღუთქვა ქალებს და სთხოვა დაშლა.

ამ დროს ქალებიდან გამოდის ერთი ქალი და დაწვრილებით მოყვება ყველა იმათ გაჭირვებაზე, ვინც იქ არის შეკრებილი. მიუთითებს დახეულ ტანისამოსზე და მოურიდებლად ეუბნება, რომ მათ საცვლები არ აცვიათ იმ დროს, როცა მისი ცოლი (ლაკობას ცოლი) და სხვა ბოლშევიკების და დიდი მოხელეების ცოლები აბრეშუმის ტანისამოსებით არიან გამოწყობილი. უბრალოდ, მაგრამ გარკვევით, არკვევს ქალი მათი შრომით და ნაშრომით სხვის ფუფუნებას და მოითხოვს ამ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესობას. განსაკუთრებით პროტესტით ხვდებიან კოლექტივებს და მოითხოვენ დამოუკიდებლობას შრომაში და ოჯახში. ცბიერი ლაკობა არაფერში ეწინააღმდეგება. ამბობს, რომ ქალები მართალი არიან და მიიღებს ყოველგვარ ზომებს მათ დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ესლა კი უსათუოდ დანიშლენითო. ხოლო ქალებმა მოითხოვეს გარდა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისა და თავიშვებულ მოხელეების დასჯისა, დაპატიმრებული ქალების განთავისუფლება. დაპირებამ ქალების განთავისუფლების შესახებ არ გასურა და კრება არ დაიშალა მანამ, სანამ ლაკობამ ავტომობილით არ მიაციენა კრებას პატიმარი ქალები.

ცხადია გლეხების ეკონომიურ მდგომარეობაში ამ გამოსვლებს არავითარი როლი არ უთამაშია. ერთი შეხედვით, დემონსტრაცია დადებითად ჩატარდა და თავისი დანიშნულება გაამართლა (ქალების განთავისუფლება), მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ სწორედ ამ ქალთა მოძრაობის რაიონში დაიწყო მასიური დაპატიმრება მამაკაცების სრულიად უმიზეზოთ. ყველა გაკვირვებული იყო ხელისუფლების ამ თვითნებობით. მაგრამ დაკითხვების შემდეგ გამოირკვა, რომ ამ შერჩეულ ავტორიტეტულ გლეხებს ბრალათ ედებოდათ ქალების დემონსტრაციის მოწყობა. ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ იქ არავითარი ხელმძღვანელი ხელი არ იყო, მაგრამ, აბა, როგორ შეიძლებოდა ასეთი აქტის დაუხეჯლად დატოვება. დაიწყო მშრომელ გლეხობის მასიური გადასახლება კონცენტრაციულ ლაგერებში და «თავისუფალ გადასახლებაში». ამ რიგად ჩეკამ უსასტიკესად დასაჯა დემონსტრაციის მონაწილე ქალები იმით, რომ მათი მარჩენალი ქმრები თუ ძმები მათვე გაუხდათ ციხეებში სარჩენად და სადარდელად.

გენო.

აფხაზეთი. 1932 წ.

### პოლონეთის განმათავისუფლებელ ბრძოლის ისტორიიდან

მზადევა ომამდე (1904—1914)

#### I.

1863 წლის აჯანყების წაგებამ სრულებით მოსპო დიდი ხნით პოლონეთის აზროვნებაში ახალი ბრძოლის სურვილი, რომ სამაგიერო მიეწოდოთ ერის დაჩაგვრისათვის. პოლონეთი განთავისუფლებული, პოლონეთი—როგორც სახელმწიფო, თავის ორგანიზაციით მორთული, სახელმწიფოებრივად დამოუკიდებელი,—1914 წლამდე პოლონელების გონებასა და გულში ცარიელი სიტყვები იყო. დამოუკიდებლობის მისწრაფება, რამოდენიმე სასტიკი დამარცხების, განსაკუთრებით კი უკანასკნელ აჯანყების შემდეგ,—პოლონეთის ფართო წრეებში დიდი ხნით მსოფლიო ომის დაწყებამდე, აღიარეს როგორც არა რეალური, უარსებო და უსაფუძვლო.

ასე იყო პოლონეთის სამსავე ნაწილში. ყოფილ გალიციის საზოგადოებრივი და პოლიტიკური განწყობილების საქე ეჭირა ხელში კონსერვატულ მმართველებს, ეგრე წოდებულს «სტანჩიცებს», რომელთაც ერთთა ერთ რეალურ საქმედ მიიჩნდათ რაც შეიძლება ლოიალური თანამშრომლობა პაბსბურგების სამეფო ტახტთან. თანახმად მიღებულ დებულებებსა, რომლითაც მიმართეს ფრანც იოსებს: «შენთან, დიდებულებამ, ვდგავართ და გვსურს ვიდგეთ», და აგრეთვე დამყარება თავიანთ გალიციის ავტონომურ წესწყობილებაზე. ყოველი მისწრაფება საკუთარ სახელმწიფოებრივობისადმი, იყო დევნილი არამცთუ იმ მოსაზრებით, რომ არ ეგუებოდა იმ დროის პოლიტიკურ მდგომარეობას, არამედ არსებითად. კრაკოვის «ისტორიული სკოლა», რომელსაც ბაბუინსკი და ტარნოვსკი მეთაურობდნენ, მთელ რიგ ისტორიულ ნაშრომებში განუწყვეტლივ ცდილობდა აღმოეჩინა, რომ პოლონეთის სახელმწიფოს დაღუპვა მოხდა არა დაპყრობით და გარეშე მიზეზებით, არა უნებ მებრძოლების შეიარაღებულ თავდასხმით, არამედ პოლონელთა ორგანიზაციულ უნარის უქონლობით, დანაშაულობისა და პოლონეთის უვარგისობის გამო. და აქედან იმ დროის ოფიციალური გალიციის საისტორიო სკოლა დაასკვნინდა, რომ პოლონელები მოვალენი არიან საბოლოოდ უკუაგდონ დამოუკიდებლობის აზრი და შეურიგდნენ სამუდამოთ არსებულ პირობებს.

ასეთ საერთო გრძობით, არსებული მისაღებ და მშვიდობიან პირობების დაცვის სურვილით გამსუვალებული იყო მთელი ყოფილ გალიციის საზოგადოება. დამოუკიდებლობის აზრი მისთვის უცხო იყო, მიუხედავად ბევრ სიტყვების რახარუნისა, რომელიც პატრიოტულ დღესასწაულებზე მოლაპარაკეთა პირიდან მოისმოდა.

ასეთივე პირობები იყო აგრეთვე, იმ პოლონეთის ნაწილში, რომელიც გერმანიის მიერ იყო დაპყრობილი. იქაური პოლონელების ყურადღება, უკანასკნელ წლებში მსოფლიო ომის დაწყებამდე, მიპყრობილი იყო იმ მძიმე ბრძოლაზე. რომელსაც აწარმოებდნენ პრუსიის მთავრობასთან თავიანთ

ეკონომიურ არსებობისათვის. ეს ბრძოლა თავიანთ მიწა-წყალის, ქონების და სამუშაო საშუალებების შესარჩენად ასუსტებდა მთელ იქაურ საზოგადოების ენერგიას, რომელიც ამ მუდმივ ეკონომიურ ბრძოლაში ხედავდა თავის ხსნას და მიზნის მიღწევას. დამოუკიდებლობაზედ ოცნებას იქ ადგილი არ ქონდა, იბრძოდნენ მხოლოდ განსაზღვრულ უფლებრივ ფარგლებში, რომლებშიაც დამპყრობელებმა ისინი მოაქციეს, და რის დარღვევა შეუძლებელ რამედ მიიჩნდათ.

«კონგრესოვის სამეფოში» (პოლონეთის ნაწილი, რუსების მიერ დაპყრობილი)—მდგომარეობა უკეთესი არ იყო. ამ ნაწილშიაც, რომელსაც ყველაზედ უფრო მეტად დააჩნდა რუსებთან შეიარაღებული ბრძოლები, დიდი გულგრილობა და აპატია დამყარდა. «პოლიტიკური აზროვნება სრულებით დაცემული იყო»,—სწერს ვაცლავ შეროშევსკი. ერის სინდისი დადუმებული იყო იმ მიმართულებით, რომლის საუკეთესო გამომხატველი იყო «პოლიტიკური მაჩვენებელი» ალექსანდრე სვენტოხოვსკისა, და ძალმოზრუნობას ან არ ეწინააღმდეგებოდნენ სრულებით, ან ეწინააღმდეგებოდნენ ლაჩრულად, ყმურად, შერიგებულივით. ეძებდნენ დავიწყებას «კულტურაში», «ხელოვნებაში, გამდიდრებაში, რაიც არ შეიძლებოდა, ვინაიდან «ვინც მდიდარია, ის მძლავრია».

მთელ «კონგრესოვის სამეფოში» და მის საზღვრების გარეთაც, ვარშავის პოზიტივისტების და რევალისტებისა 1870-80 წ. წამოძახილი—«ორგანიზაციული მუშაობა» ფართო მასაში—გამარჯვებით დამთავრდა. რუსეთთან უთანხმების და მოლაპარაკების ნიადაგზედ, როგორც მაქსიმალური გამოხატულება ერთგულ მისწრაფებათა, როგორც შორს მიმავალი მოთხოვნილება იყო: კულტურული გეგმა და ეკონომიური ავტონომია.

#### II.

ასეთ პირობებში, პოლონელ საზოგადოების საერთო უმოქმედობის და უგულვობის დროს, ძნელი იყო, რომ გავრცელებულიყო დამოუკიდებლობისათვის შეიარაღებულ ბრძოლის წარმოება. ვინც ასეთ ბრძოლის აზრს წარმოსთქვამდა, თუ მას პროვოკატორს არ უწოდებდნენ, უკეთეს შემთხვევაში სთვლიდნენ უგუნურად და მანებელ პირად, რომელსაც შეეძლო პოლონეთი კვლავ სისხლში ეცურებია, და ეს ხომ დაანგრევდა ყოველგვარ ორგანიზაციულ ნამუშევარს, ქვეყანას თავს დაატებდა უდიდეს უბედურებას და ერს საბოლოოდ დასცემდა.

მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, მე-19 საუკ. უკანასკნელ წლებში, ზოგიერთ ადგილებში მაინც, იწყება აპატიის და უძლურობის გადატეხა. ხმას იღებს ახალგაზნ თაობა, ის თაობა, რომელსაც 1863 წლის აჯანყების დამარცხება თავის თვალებით არ უნახავს. მაგრამ იგინი ხედავდნენ იმ საშინელ შედეგებს, რომელიც გამოიწვია ბედთან შერიგებამ და დამორჩილებამ, და გადასწყვიტეს, წინააღმდეგ ყველა-



ფრისა და ყველასი, დაეწყათ თავიდან, შედგომოდნენ კიდევ ერთხელ პოლონელ ერის დამოუკიდებლობისათვის შეიარაღებულ ბრძოლის წარმოებას.

ამ ახალ თაობას მეთაურად დაუდგა ახალგაზდა აღტაცებული, შეუკავებელი და ფიცის თავის ქვეყნის სიყვარულით, ანთებული რომანტიკოსი და ამავე დროს ცივი რეალისტი მოქმედების დროს: იოსებ კლემენსი პილსუდსკი.

მშობლიურმა კერამ ჩაუნერგა მას დამპყრობლების სიძულვილი, ერის დაჩაგვრის შეგნება, და ახალგაზდობიდანვე დაიწყო ეროვნული და საზოგადოებრივი მუშაობა. სოციალიზმის გეგმაში, რომელიც იმ დროს უმეტესად და უძლავრესად ამოძრავებდა ახალგაზდა გულებს.—ციდილობდა მოენახა გზები, რომელიც ერს განთავისუფლებამდე მიიყვანდა, და პირველ დაჭერისა და ხუთი წლით ციმბირში გადასახლების შემდეგ, 1893 წელს პოლონეთის სოციალისტურ პარტიის შექმნისას იკავებს ერთ საუკეთესო ადგილს, ხდება გაზეთ «რობოტნიკის» რედაქტორი, რომელშიაც ატარებს დავიწყებულ და იმავე დროს ახალ აზრს: «პოლონეთის დამოუკიდებლობით ხალხის განთავისუფლება».

სწორეთ ამ წლებში იწყება «კონგრესოვის სამეფოს» მუშათა მასაში განვითარება და განმტკიცება ეროვნულ და საზოგადოებრივ შეგნებისა, რომელსაც ავრცელებს და ავითარებს ქანდარმებისათვის მიუწდომელ «რაბოტნიკში» ამხანაგი ვიკტორი, დაუღალავი თავის მუშაობაში, იოსებ პილსუდსკი. ვეებერთელა რუსეთშიც თავს იჩენს აგრეთვე ახალი მიმართულებები, რომელიც რუსეთ-იაპონეთის ომის დასაწყისში 1904 წელს, გაიზარდა რევოლუციონურ მოძრაობათ.

პოლონეთის ტერიტორიაზე რევოლუციონურ მოძრაობას ისევ იოსებ პილსუდსკი ხელმძღვანელობს. 1900 წ. დაჭერილ იქმნა ქ. ლოდზში, შემდეგ გადაიყვანეს ვარშავის ციხეში, იქიდან გაგზავნილ იქნა პეტერბურგის წმ. ნიკოლოზის საავაზმყოფოში, საიდანაც პარტიულ ამხანაგების დახმარებით, გამოუსხლტა ხელიდან მოსკოველებს და მიაღწია კრაკოვს. დადიოდა მთელ გალიციაში და «კრუუციესტურში» და ავითარებდა პოლონეთის რევოლუციონურ მოძრაობას. ეძებს დახმარებას იაპონიაშიც კი, სადაც გაემგზავრა რუსეთ-იაპონეთის ომის დროს, რომ მიკადოს მთავრობისათვის წარედგინა მოხსენება რუსეთის ზურგში არეულობის გამაწვევის და პოლონეთში შეიარაღებულ აჯანყების შესახებ.

თუმცა ეს მოქმედება იოსებ პილსუდსკისა იაპონეთში არ დამთავრდა სასურველად. მაგრამ თვით პოლონეთში შეიქმნა დიდი პოლიტიკურ-ეროვნული მოძრაობა, რომლის მიზანი იყო ერის დამოუკიდებლობა; იოსებ პილსუდსკი ამ იდეის განხორციელების ერთგული, ანთებული და დაუღალავი მებრძოლი იყო.

ქანდარმების მიერ დევნილი, გადადის ერთ ადგილიდან მეორეზედ, მუდამ მოქმედია.—შლის წარმოუდგენელ ენერგიას. მას უკვე არ ყოფნის მარტო დემონსტრაციები და მანიფესტაციები, მოქმედება სიტყვით და მოწოდებით წარმოებული. ქმნის საო-

მარწაწილებს პოლონეთის სოციალისტურ პარტიის წევრებიდან, შეაქვს მათში სამხედრო ორგანიზაცია, იწყებს მოქმედ შეიარაღებულ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ, რომელსაც კვლავ წარმოუდგა ახალ პოლონეთის შეიარაღებულ აჯანყების აჩრდილი.

ისინი, რომელნიც 1863 წლის შემდეგ პირველნი გამოვიდნენ დამპყრობელთა საწინააღმდეგოთ, იარაღით ხელში და ამოძახილით «გაუმარჯოს დამოუკიდებელ პოლონეთს», რომელნიც საბრძოლელად კვლავ იდნენ, რომელნიც იბრძოდნენ მაგარ და წესრიგიან «ექვესულებში», მხედრულად გაწვრთნილი—ავრცელებდნენ საშინელ შიშის ზარს მტრის ბანაკშიდაც. არა სრულ ორ წელში, 1905 და 1906. პოლონეთის სოციალისტთა პარტიის მებრძოლ ორგანიზაციამ გამოიჩინა უდიდესი ენერგია და მისი წევრთა რიცხვი აღიოდა 5-5 ნახევარ ათასამდე, რომლებმაც დაუმტკიცეს მასას, რომ შეიძლება შეიარაღებულ ბრძოლის წარმოება პოლიციის და ჯარის წინააღმდეგაც. ამ ორგანიზაციამ მოგვცა ბევრი განთქმული პირადება, რომელთაც თავის მოქმედებებით იხსნეს იდეა პოლონეთის შეიარაღებულ მოძრაობისა (ლ. ვასილევსკი. შეიარაღებულ მოქმედების გზაზედ).

ამისთვისაც იყო. რომ უფრო მკაცრი რეპრესიები მიიღო ცარიზმმა შეიარაღებულ მოძრაობის წინააღმდეგ, და სასტიკ ზომებს მიმართა აჯანყებულთა მიმართ. როდესაც დაამარცხა რევოლუციონური მოძრაობა თვით რუსეთში, დაუწყა დევნა და დაფანტვა იოსებ პილსუდსკის მებრძოლ ნაწილებს. ორი წლის ბრძოლის შემდეგ დამპყრობელთა წინააღმდეგ, წაგებულ 1906 წლის შემდეგ, პოლონეთში დამკვიდრდა ისევე ყმობა, კვლავ ისმოდა მძლავრი ყვირილი პოლონელთ უძღურობისა და ღრმა გაბრუებისა: «გვეყოფა სისხლი»-ო.

(შემდეგი იქნება)

ვახტანგ ლიპინსკი.

### საზოგადოებრივი საქმიანობის ცხოვრებიდან

ჩაგრულ გმობა ალაპია.

ბოლშევიკები არც ჩაგრულ ერებს აკლებენ თავის «ზრუნვას». წელიწადში მათ ორჯერ უხდინა დღესასწაულს—ერთხელ დაპყრობის დღის აღსანიშნავათ, მეორეთ—საბჭოთა კავშირის დაარსების გამო. მოსკოვისთვის ორივე ეს დატა მართლაც რომ სახეიმოა, ხოლო ერთბისთვის—სამგლოვიარო. იგი ამ უკანასკნელთათვის ალაპია და არა იუბილე.

გასული წლის 30 დეკემბერს 10 წელი შესრულდა მას შემდეგ, რა რომ ისევ აღდგენილი იქნა «ერთა საპყრობილე», რომელშიც ბოლშევიკებმა მაგრათ ჩაკეტეს თებერვლის რევოლუციის შემდეგ განთავისუფლებული ერები.

ბოლშევიკები ამას ერთა თავისუფლებასა და სოლიდარობას ეძახიან და ზეიმობენ. ჩაგრულ ერებს ამით ცინიკურათ დასცინიან და ტკივილებს და იარებს კიდევ უფრო უღიზიანებენ. ამ დღეს მოსკოვის





«იზვესტია» ლენინისა და სტალინის დიდი სურათებით და აშლანგებით გამოვიდა. ერთა ჯვალთები, ერების განმთავისუფლებლათ არიან გამოცხადებული. ასე იქცეოდნენ წინეთ რუსის მეფეები და თათრების ყინებიც.

წინა გვერდზე დიდი აშლანგით მოთავსებულია მოსკოვის მისალმება «კავშირის მშრომელი მასებისადმი, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ». მეორე გვერდზე კი გამოცხადებულია: «მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში, სოციალიზმის ბანაკში მოხერხდა ნაციონალური ჩაგვრის ძირიანათ აღმოფხვრა და ერთა შორის ნდობისა და მეგობრობის განმტკიცება».

ერთი სიტყვით აღარც ეროვნული უშუღლია და არც ჩაგრული ერები არსებობენ და გარდა ენუქიძის წერილისა, ამის დასამტკიცებლათ. ერთა დამპყრობელთა სურათების ქვემოთ მოთავსებულია ერების მოღალატეთა სურათები. შუაში რუსეთის სტაროსტა კალინინი, მის გვერდით ჩაგრული ერების მამასახლისები. მარჯვნივ—ვეტროვსკი, მუსაბეკოვი და ნუსრატულა მახსუმი; მარცხნივ—ჩერვიაკოვი; ფაიზულა ხოჯაევი და აიტაკოვი. ერთა სოლიდარობის უკეთესი დამამტკიცებელი საბუთი ღმერთმა შეაბრუნებინოს!

მიუხედავთ ამისა, ფ. მახარაძე ამ შემთხვევაშიც დაჩაგრული აღმოჩნდა და იგი ნუსრატულას გვერდითაც კი არ ჩაასურათხატეს. მოდი და ამის შემდეგ ქართველი «უკლონისტები» ნაწყენი ნუ დარჩებიან!

სამაგიეროთ დიდი წარჩინება და ჯილდო მიიღო აბელ ენუქიძემ. «საბჭოთა კავშირის შექმნის განსაკუთრებული ღვაწლისთვის», კობამ აბელი ლენინის ორდენით დასაჩუქრა და განხეთების მეორე გვერდზე მისი სურათები მოთავსებია. აბელი მართლაც კი არის ამის ღირსი. ძმის მკვლელი მარტო ბიბლიური კანნი კი არ ყოფილა, ხშირათ ისტორიული აბელიც იყო. ამ ჩვენ ისტორიულ აბელს ცოტა ენერგია არ დაუხარჯავს იმისთვის, რომ კობა დედამიწის ერთ მეექვსედზე დიქტატორი გამხდარიყო. ამისთვის მან ძმის სისხლიც დაღვარა და ძველ ამხანაგებსაც უღალატა.

დეკემბრის 29-ს სომხეთს გადაუხადეს ალაპი და მოიკონეს «რუსის წითელი არმიის მიერ სომხის ერის დაშნაკელთა უღლისგან განთავისუფლება». წირვა გადაუხადა სომხეთის კომპარტიის დანიშნულმა მდივანმა ვილაც ხანდაყიანმა. ა-მ-ი-ნ, ა-მ-ი-ნ, უგალობა საპატიო ჩეკისტმა ფ. მახარაძემ.

სამაგიეროთ 24 თებერვალს ფილიპე გადაუხდის ქართველ ერს ალაპს, ხოლო მუსაბეკოვი და ხანდაყიანი ა მ-ი-ნ, ა-მ-ი-ნ-ს ეტყვიან. ამის სამზადისს უკვე იანვრიდან შეუდგენ. მაგრამ, რომ ქართველი ხალხი «შოვინიზმა არ გაიტაცოს», ამ მიზნით საქართველოს დაპყრობის დღე წითელ არმიის დღეს დაუკავშირეს. ეს ყველაზე უფრო სწორია. ვისიც იარაღი იყო, ზეიმიც მას ეკუთვნის.

ძველებურათ პატარა ერის ალაპებში, მოსკოვის დიდი ბელადები მონაწილეობას აღარ იღებენ. ეს დროც წავიდა. ასეთი პატარა საქმისთვის მათ არ სცალიათ. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ესლა კობა «მსოფლიო პროლეტარიატის ბელადია», რა უყოთ

მერე, რომ ტფილისელმა მეჩქევეებმა სტალინი საპატიო «საბუჩქიათ» აირჩიეს! შეიძლება ეს ბელადის ზუსტი დაფასება იყოს, როგორც ამას ხოლმე ამბობენ ბოლშევიკები, მაგრამ ტფილისისთვის იგი მაინც ვერ მოიცილის. ამისათვის მას ბერია-მეერზონი და კომპანია ყავს ტფილისში.

სახალხო მკურნეობის ფრენტზე.

ბოლშევიკებს ცხოვრების ყველა დარგი საომარ ფორტათ აქვთ გამოცხადებული. ფორტიდან კი არაოდეს არ აწვიან საზოგადოებას სწორ ცნობებს. ბოლშევიკებმა ამ მხრით რუსის გენერლებსაც კი გაუსწრეს. მათ მტერი ხშირათ სცემდა, ანადგურებდა, მაგრამ ისინი მაინც გაიძახოდნენ: თუმცა უკან დავიხიეთ, მაგრამ მტერს მაინც დიდი ზარალი მივაყენეთ და გამარჯვება ჩვენიაო. «ნაშიკე ვსიო სპაკონო», სწერდა რუსის სარდლობა, თუმცა სიმაგრე შიპკა თურქებს კარგა ხნის წინ ქანდათ აღებულ.

რუსეთის სახ. მეურნეობასაც შიპკის ამბავი ემატება. მიუხედავთ იმისა, რომ იგი ბოლშევიკებმა თავისი ექსპერიმენტებით გაანადგურეს, დაწაღეს და ხალხიპორდაპირ შიმშილსა და სიტიტვლეს განიცდის, ბოლშევიკური მთავარი შტაბი—პოლიტიბიურო საქვეყნოთ გამომდგარა და ციფრებითა და ლენინის ციტატებით იანვარში მომხდარ პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ამტკიცებს: «საბჭოთა კავშირში სწარმოებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შეუჩერებელი განვითარება და ამავე დროს ხდება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კრიზისი და დაცემა კაპიტალისტურ ქვეყნებში. და ამ რიგათ საბჭოთა კავშირი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიალურ ქვეყნათ და საკითხი «ვინ-ვის», გადაწყვეტილია სოციალიზმის სასარგებლოთ».

მოდი და ამის შემდეგ ნუ მიეცემი «შვება-ლხენას!» ყველგან კრიზისია, ქვეყანა «იქცევა», ხოლო საბჭოთა კავშირი ამ დროს ყვავის და ნეტარობს! მაგრამ ძალაუნებურათ ეკითხები შენ თავს, თუ კი ბოლშევიკების ციფრები და რეზოლუციები სიმარტულეა, მაშინ რათ არის იქ შიმშილი და სიტიტლეე, უბინაობა?! ნუ თუ ბოლშევიკური «სამოთხე» კაპიტალისტურ «ჯოჯონეთზე» უარესია?! დიახ, სწორეთ ასეა. ამაში დასარწმუნებლათ საკმაოა თვით ბოლშევიკური ფაქტების სისწორით შემოწმება, კრიტიკულათ მიდგომა.

აი როგორია მათი «აყვავებული» მრეწველობა და სოფლის მეურნეობა: ბოლშევიკურ მკვენარეობასთან ერთათ სტალინის მარჯვენა ხელმა მოლოტოვმა პლენუმის მოხსენებაში სთქვა: «შავი მეტალურგის არსებული მდგომარეობა სრულიათ შეუწყნარებელია. დავალებანი ამ ხანით პროდუქციის ზრდის დარგში მეტათ საგრძნობია. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფაქტიურათ 1933 წლის დავალება მხოლოდ იმ დავალებათა განმეორებაა, რომლებიც დასახული იყო 1932 წლისთვის, მაგრამ არ ყოფილა შესრულებული. ამ გვართ მიმდინარე წელს ამოცანათ ვისახავთ წლიური დავალება შევასრულოთ ორ წელში». და შემდეგ—«მაგრამ უკვე სრულიათ დაუ-



შვებელი მდგომარეობა გვექონდა და კვლავ გვაქვს ფოლადისა და სატყევე რკინის ხაზით» და სხვა. აი ასე ყვავის საბჭოური შავი მეტალურგიისა და ფოლადის წარმოება, რომლებიც მრეწველობის ფუძეს შეადგენენ.

ესლა ვნახოთ, თუ როგორ მუშაობენ ცალკე ქარხნები. საკავშირო კომპარტიის ცეკის და საკავშირო მთავრობის 30 იანვრის ბრძანებაში ჩამოთვლილი ის ქარხნები, რომლებმაც სანახევროთაც ვერ შეასრულეს დავალებანი. იოროსლავის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ შეასრულა წლიური გეგმის მხოლოდ 8.7 პროც. ძერჟინსკის სახელობის ქარხანამ—14 პროც., კოვალის სახელობის ქარხანამ—29 პროც., «კრასნი დეიგატელმა» ნოვოროსიაში—14% და ასე. სტალინმა და მოლოტოვმა მათი დირექტორები დასცვალებს და რეპრესიებით ცდილობენ ქარხნების მუშაობის წინ წაწევას.

შეიძლება ცოტას ამუშავენ, მაგრამ სამაგიერო კარგი ხარისხის პროდუქციას იძლევიან? ამის შესახებ მივმართეთ მოლოტოვის იმავე მოხსენებას, «ის მდგომარეობა, ამბობს თავის მოხსენებაში ბოლშევიკების პრემიერი, რომელიც ჩვენ გვაქვს პროდუქციის ხარისხის მხრივ მთელ რიგ ოლქებში და მათ შორის ჩვენი მრეწველობის მოწინავე დარგებშიც კი, არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურათა». მაგალითისთვის მოიყვანა ნიჟნი ნოვგოროდის საავტომობილო ქარხანა, რომელმაც მოსკოვში გაგზავნა 50 სამგზავრო ავტომობილი და ყველა უარგის გამოდგავს სწორეთ ის ქარხანა არის, რომელითაც ფიქრბდენ ფორდისთვის კონკურენციის გაწევას. ამერიკის გასწრებაც ასეთი უნდა!

აყვავებული მრეწველობის ქარხნები, იმავე მოლოტოვის სიტყვით, და მას არ შეიძლება არ დაეუჯეროთ, გაპარტახებულია. «შეიძლება და გაცილებით მეტი მაგალითის მოყვანა, განაცხადა მოლოტოვმა, იმის დასახასიათებლათ, თუ როგორ ცუდათ და ზოგჯერ დანაშაული—დაუდევრობით იყენებენ უახლეს, კერძოდ საიმპორტო მოწყობილებას, ჩვენ კარგ ქარხანებშიც კი. ხარკოვის სატრაქტორო ქარხანაში საიმპორტო დაზგების უმეტესობა არ მუშაობდენ, ხოლო მომუშავე დაზგების დატვირთვა სრულიად არ არის საკმარისი. დაზგებისა და მექანიზმის დამტვრევა, მეტნაწილად დაუდევარი და უხეიროთ მოპყრობის გამო, აგრეთვე ცუდი მოვლის, მონტაჟისა და რემონტის გამო, მეტათ მნიშვნელოვან ფარგლებს აღწევს» («კომ.» ამა წლის № 12).

ასეთია მოკლეთ საბჭოთა კავშირის «აყვავებული» მრეწველობის სურათი.

ესლა ვნახოთ, რას წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, რა მისცა მას ხუთწლედმა. ამის შესახებ მოიყვან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს ქართულ კომუნისტიდან. «ესლადარის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობაში 1932 წ. განმაჯობაში, ნათქვამია საქართველოს ცენტრ. კომიტეტის დადგენილებაში, იმის გამო, რომ არ არსებობდა ცხვრის ფარეხზე ვეტერინალური მეთვალყურეობა. ცხვარი არ იყო უზრუნველყოფილი ფარეხებით, არ იყო მიმავრებული მწყემსებზე, დაიღუპა 11 ათასი ცხვარი (ნორმალური

დანაკლისის გარდა). მათ შორის 1500-ზე მეტი მოიპარეს და დაიტაცეს საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა» («კომ.» 1933 წ. 6 იანვ.).

«ბორჩალოს მაზრაში სამარცხვინოთ ჩაიშალა ბამბის გეგმა და დამზადების გეგმა შესრულდა მხოლოდ 37 პროცენტით.

ადგილობრივი ორგანიზაციების უმექმედობის გამო ბამბის დამუშავებას ზოგან მთელი სოფელი ანებებდა თავს. ბორჩალოს რაიონის ხელმძღვანელობა რაიკომის მდივნის ჰასან-საბარის, რაილდმა-სკომის თავმჯდომარის ჯაფარლის და სხვათა სახით ატყუებდა პარტიას, ხელმძღვანელ ორგანოებს აწვდიდა ყალბ ცნობებს მძრალად ხგნის, ბამბის თესვის, დამუშავების და აღების შესახებო, სწერია იმავე ნომერში. ამის გამო ბოლშევიკებმა ძველი ხელმძღვანელობა გადააყენეს, პასუხისგებაში მისცეს და ზოგიერთი კიდევ დახვრიტეს.

ბორჩალოს მაზრას ამ მხრით არც სხვები ჩამორჩენ. «ზუგდიდის ინვალიდთა მეურნეობაში გაშენებულია ღორები, ძროხები და კურდღლები, მაგრამ ისინი მოკლებული არიან ზამთრის საკვებს და მოვლას. რის გამო მეურნეობა ყოველწლიურათ რამდენიმე ათასს მანეთს ზარალობს» («კომ.» 10 იანვ.).

«სამტრედიის სატრანსპორტო კომპარტიის მეურნეობაში მოუვლელობის გამო ძლიერ ხშირათ ისოცება ღორები და რქიანი საქონელი. რამდენიმე თვის წინ აქ დაიხოცა 40 ღორი და 5 ძროხა» (იქვე).

«ბაშკიჩეთის საბჭოთა მეურნეობაში მთავარი საქონლის დაცემა უდრის 11.6 პროც., ხოლო ხბოების—40 პროცენტსო» (იქვე).

«ტფილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკას აქვს საგარეთებო მეურნეობა დიდი მოსი. წელს მეურნეობას უნდა მიეღოს 80 ტონა პამიდორი, მიიღო—18 ტონა. 3 ტონა სიმინდის ნაცვლათ მიიღო—0.5 ტონა. 45 ტონა ქართოფილის ნაცვლათ—5 ტონა. ფაბრიკას ყავდა აგრეთვე 65 კურდღელი, აქედან მოუვლელობის გამო 40 დაიხოცა» («კომ.» 4 იანვ.).

მეურნეობის უკეთესი ზრდა და საქონლის უკეთესი მოშენება, ღმერთმა შეარცხვინოს!

მრავალი ასეთი დამახასიათებელი მაგალითების მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამას მთელი წიგნი დასჭირდება. რომ სოფლის მეურნეობა ძლიერ აწეწილია, ეს იმ განსაკუთრებული ზომების დანაც სჩანს, რომელსაც პოლიტბიურო ღებულობს და აგრეთვე იქიდანაც, რომ პლენუმის კრებაზე მომხსენებლათ ამ საკითხის შესახებ თვით სტალინი გამოვიდა.

მას სთქვა: «როცა კომუნისტები ლაპარაკობენ პურის დამზადების სიძნელეზე, ჩვეულებრივ ისინი პასუხისმგებლობას აკისრებენ გლეხებს და ამტკიცებენ, რომ ყველაფერში დანაშავე არიან გლეხები. მაგრამ ეს სრულიადაც არ არის სწორი და უსათუოთ არ არის სამართლიანი. გლეხები აქ არაფერ მუშაში არიან. თუ საქმე ეხება პასუხისმგებლობას და დანაშაულობას, პასუხისმგებლობა მთლიანათ და სავსებით ეკისრება კომუნისტებს და აქ ყველაფერში დანაშავე ვართ ჩვენ კომუნისტებიო» («კომ.» 17 იან.).

სრული ჭეშმარიტება არის, ამის თქმას ვერც ბუხარინი გაბედავდა და ვერც ორჯონიკიძე. რომ ეს



თქმა ყველა კომუნისტებზე ვრცელდებოდა. სტალინი ამას ამბობს არა იმ კომუნისტებზე, რომლებიც მისი მეთაურობით პოლიტიკურად სხედან და რომელნიც მთავარი დამნაშავენი არიან, არამედ—სოფელში მომუშავეებზე. ამაზე იტყვიან ჩვენში—რევენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო.

მაშ სოფლის კომუნისტები თუ არ ვარჯან, ვინ გამოიყვანს ჩიხიდან სოფ. მეურნეობას? ვინ და ჩეკისტები, ბრძანებს სტალინი და ამ მიზნით სოფლათ აარსებს პოლიტ-სამართველებს. მეტი რა დარჩენია, კომუნისტები აგრონომებათ არ გამოდგენ და თანაც გაიხრწნენ და საიმედო არ არიან. და ესეა პოლიტიკური ზომებით ფიქრობს სოფლის მეურნეობის აყვავებას!

აღლა.

### მარკსული მოძრაობა მაჰმადიანთა შორის

ნ ა გ ი ო ნ ა ლ ი შ ვ ი.

#### III.

სრულებით ბუნებრივია, რომ დიდი ომის შემდეგ მისწრაფებთა სირთულის გამო აღმოსავლეთი ღრმად ამოძრავებული აღმომჩადარიყო. ცხადია, რომ ყველა ამის საკეთილდღეოდ დალაგებისათვის საჭირო იყო სახელმწიფო გამგებლობის პირველხარისხიანი ნიჭი. საუბედუროდ ვერსალის კონფერენცია მოკლებული აღმოჩნდა ასეთ თვისებას და არა თუ არ მიანიჭა ვერსალს მშვიდობიანობა, არამედ აღმოსავლეთის მიმართ გამოიჩინა იმპერიალისტურ. მტაცებლობის ისეთივე განწყობილება, რომელიც ომის წინ არსებობდა. დავიწყებულ იქნა ომით გამოწვეული ღრმა ცვლილებანი, უყურადღებოდ დატოვებული პოლიტიკის შეცვლის ის საჭიროება, რომელსაც ეს ცვლილებანი მოითხოვდნენ, და გამარჯვებულ მოკავშირეთ განაგრძეს აღმოსავლეთის მიმართ ძველი პოლიტიკა, თითქო აწია იგივე მიძინებული მდგევი დარჩენილიყო, როგორც წარსულ საუკუნეში იყო.

დავიწყეს ომის დროს დიდის ამბით გამოცხადებული თავისუფლების პრინციპები და დაპირებანი, ყველა ერთ თვითონვე იქნება თავის ცხოვრების და ბედის ბატონი და პატრონიო, და გაახშირეს საიდუმლო ხელშეკრულებანი, სადაც იყოფდნენ ოსმალეთის იმპერიას.

მაგრამ მოკავშირეთა განზრახვით უკვე ვერსალის კონგრესის მსვლელობა ამუღუნებდა საკმარისად: კონგრესმა არ მიიღო სპარსეთის წარმომადგენელი, არ ათხოვა ყური ეგვიპტეს პროტესტს ინგლისელების ბატონობის წინააღმდეგ.

კაცი იფიქრებდა, რომ მოკავშირეთ ესმოდათ, რომ ასეთი პოლიტიკა მეტად საშიში იყო და ამიტომ მის გასატარებლათ დიდი თანხმობა და სისწრაფე იყო საჭირო. ნამდვილად კი წინააღმდეგი მოხდა: მოტყუებულ და გამოწარებულ აღმოსავლეთის წინაშე მოკავშირეთ დავა დაიწყეს ამ აღმოსავლეთის

დოვლათის გარშემო. მთელი ორი წელიწადი დასკირდათ ინგლისს, საფრანგეთსა და იტალიას ოსმალეთის განაწილების შესახებ შეთანხმებისათვის, და მასთან ისეთის, რომელსაც სიმკვიდრე აკლდა.

ასეთი პოლიტიკის მსგავრულათვის ცხადი იყო, რომ ევროპიელების ბატონობას არა მარტო ზნეობრივ პრინციპების უარყოფა ედო საფუძვლად, არამედ გაკოტრებული დიპლომატიაც. ისინი მიხედნენ, რომ ასეთ დამალ საფუძველზე აგებულ ბატონობის დამხობა არ იყო ძნელი.

ამრიგად ცალკე თავიანთ ძალის რწმენამ, ცალკე დასავლეთის დაშლამ და ახალ მოკავშირის—ბოლშევიკური რუსეთის გამხნეებამ,—ყველა ამან ააღებინა აღმოსავლეთს იარაღი ხელში.

პირველმა იფიქრა ეგვიპტემ, როგორც ზემოდაც იყო ნათქვამი. გათავდა თუ არა დიდი ომი, ეგვიპტელებმა გაგზავნეს პარიზის კონფერენციაზე დელეგაცია, რომელიც მოითხოვდა სრულს თავისუფლებას. კონფერენციამ დაადასტურა ინგლისის პროტექტორატი ეგვიპტეში, მაშინ პირში ჩალა ამოვლებულმა დელეგაციამ გამოაქვეყნა პროტესტი, რომელშიაც აჯანყების აუცილებლობას აღიარებდა, ვინაიდან, ნათქვამია ამ პროტესტში, «ჩვენ ყველა კარები ჩამოხარეთ და ვერსად ვერ ველირსეთ პასუხს წინააღმდეგ იმ გარკვეულ დაპირებისა, რომელსაც იძლეოდნენ ამ გამარჯვებულ ხალხთა მეთაურნი, რომ მათი გამარჯვება სამართლის გამარჯვება იქნება ძალმომრეობაზე და რომ პატარა ერებს მიენიჭებათ უფლება, თავიანთი ცხოვრება თვითვე მოაწყონ. ინგლისელების პროტექტორატი ეგვიპტეზე შეტანილია ვერსალის ხელშეკრულობაში და თვით ეგვიპტელებს არავინ შეკითხვბია მის პოლიტიკურ წყობილების შესახებ... ჩვენ ვეცდებით გავაგონოთ ქვეყანას გაფრთხილების ხმა, რომ ეგვიპტელები პარიზში მიღებულ გადაწყვეტილებას ცნობენ არ არსებულად... თუ ჩვენი ხმა არ იქნა გაგონილი, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ უკვე დაღვრილი სისხლი არ ყოფილა საკმარისი ძველ ქვეყნიურ წესის დასამხობად და ახალის დასამყარებლად».

ჯერ ეს სტრიქონები დასტამბულიც არ იყო, რომ ეგვიპტეში დაიწყო აჯანყებები. ინგლისი მდგომრათ იცავდა თავის ბატონობას, მაგრამ არა ნაკლებ სიმტკიცეს იჩენდნენ ეგვიპტელი ნაციონალისტები. ინგლისმა მიაყარა ჯარები და გარეგანად შეაჩერა მოძრაობა, მაგრამ თუ წარსულში მდებო ხალხი (ფელახები) კეთილ განწყობილი იყო ინგლისისადმი და დანარჩენი წრეები ამ უკანასკნელს არაფრად ედარდებოდა, ნამდევს ასეთი ვითარება ძირიანად შეიცვალა. ომის დროს ინგლისის მიერ ხორბლის რეკვიზიციებმა, სამუშაო ბეგარის შემოღებამ და ომის საჭიროებებით გამოწვეულმა სხვაგვარ შევიწროებამ ფელახების განწყობილებაც შესცვალა.—ესლა დიდი და პატარა, შეძლებული და ღარიბი ერთნაირად მოითხოვდნენ დამოუკიდებლობას, ინგლისი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ასეთ მდგომარეობისათვის და 1919 დანიშნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა გამოენახა გამოსავალი. კომისიას პირველში ბოიკოტი გამოუცხადა

ყველა წრემ,—ეგვიპტეს მთავრობა უარს იყო მასთან თანამშრომლობაზე, მაგრამ კომისიის თავმჯდომარეს, ლორდ მილნერს, ხელი შეუწყო ერთმა გარემოებამ: ეგვიპტეში, როგორც დანარჩენ აღმოსავლეთში, პოლიციურ მოძრაობას წამატა სოციალურიც; გაჩნდნენ უკიდურეს მოძღვრებათა პროპაგანდისტები და ამან შეიტანა შიში ნაციონალურ მოძრაობის მეთაურთა შორის. ამის შედეგი იყო, რომ ეგვიპტელ მთავრობის მეთაური ზაგულ ფაშა და ლორდ მილნერი შეთანხმდნენ. თანახმად მათი შეთანხმების პროექტისა ინგლისს ხელი უნდა აეღო პროტექტორობაზე და გამოეცხადებინა ეგვიპტეს დამოუკიდებლობა. ეგვიპტე ხდებოდა სრულებით თავისუფალი, ინგლისს გაყავდა თავისი მოხელეები და ჯარები. ოღონდ ეგვიპტე უნდა შეეკროდა ინგლისს სამუდამო კავშირით, პირობა დაედო სხვა სახელმწიფოებთან არ შეეკრა ხელშეკრულობანი ინგლისის დაუკითხავად და დაეტოვებინა ამ უკანასკნელისათვის ერთი სამხედრო ნავთსადგური სუეცის არხისა და თვით ეგვიპტეს დასაცავად, თუ ვინმე უცხო თავს დაესხმოდა.

ამასობაში ეგვიპტეში დაწყებული მოძრაობა ახლო აღმოსავლეთის სხვა ნაწილებსაც მოედო. 1920 სი დასაწყისში მისი ცენტრი გადატანილ იქნა ოსმალეთის იმპერიაში და ამაში დიდი ბრალი ედებოდა მოკავშირეთ. ომის გათავებისას ამ იმპერიის სხვადასხვა ერი იმედოვნებდა, რომ მოკავშირენი არ დაივიწყებდნენ თავიანთ დაპირებებს. დიდი იმედები ქონდათ, მაგალითად, არაბებს. ზემოდ აღნიშნული გვექონდა, რომ 1916 ჰეჯათში მოხდა აჯანყება, რომელმაც ხელი შეუწყო ოსმალეთის დამარცხებას. ეს აჯანყება გამოხმაურება იყო მექის შერიფის მოწოდების, ოღონდ ნამდვილად წაქეზებისა და დაპირებების საშუალებით მომხადებული მოკავშირეთა მიერ. ომის შემდეგ არაბებმა მოითხოვეს დაპირებათა, დახმარების ამ ხელფასის, განაღდება: ერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ შეგვეართეთ ოსმალეთში მყოფი ყველა არაბული პროვინციები. მათდა საუბედუროდ საფრანგეთ ინგლისს თავიანთი აზრები ქონდათ ოსმალეთის არაბულ პროვინციების შესახებ, ამ ორმა სახელმწიფომ ჯერ კიდე 1915-ში შეკრეს საიდუმლო პირობა, რომლითაც გაინაწილეს ამ პროვინციებში ურთიერთ გავლენის სფეროები, და ომი რომ გათავდა, დააყენეს არაბები ამ პირობასთან შეთანხმებულ ფაქტის წინაშე. ვერსალის კონფერენციამ, მიუხედავად ემირ ფაისალის მიერ ღირსეული და მჭევრმეტყველური გამოსვლისა, დააკანონა საფრანგეთ-ინგლისის შეთანხმება მათთვის მანდატების ჩაბარების სახით.

ოსმალეთიც მოტყუებული დარჩა. თუმცა დამარცხებული, ოსმალეთი მაინც იმედით შეყურებდა მომავალს. გარკა იმ შესაძლებლობისა, რომელიც ინატებოდა მოკავშირეთა მიერ დადასტურებულ ვილსონის 14 პუნქტში, ოსმალეთს უფრო გარკვეული გარანტიაც ქონდა მოპოებული ინგლისის პრემიერ ლოიდ ჯორჯისაგან. ამან ჯერ 1918-ში სთქვა: ... «არც იმისათვის ვაწარმოებთ ომს, რომ ოსმალეთს წავართვათ მისი სატახტო ქალაქი, ან მისი

მდიდარი მიწები მცირე აზიაში და ფრაკიაში». ნათელი იყო, რომ თუ ოსმალეთს ჩამოერთმევოდა ისეთი მიწები, სადაც თურქების მოსახლეობა არ იყო, ნამდვილი თურქული ტერიტორია თავისუფალი დარჩებოდა, არც თურქებმა იცოდნენ 1915-ში შეკრულ საიდუმლო ხელშეკრულობათა მთელის რიგის არსებობა.

ოღონდ როდესაც ვერსალის კონგრესმა გაანადგურა ეს საიდუმლო ტრაქტატები და მანდატები გააჩინა, მაშინ აღმოჩნდა მხოლოდ საფრანგეთ-ინგლისის ნამდვილი მისწრაფება და მათ, საფრანგეთის სურვილი, ყოფილიყო მთელის არაბეთის, სირიის, ლიბანის და პალესტინის თავის პროტექტორატის ქვეშ მოქცევა, რაცა ინგლისმა «სიხარბეთ» და «სიგიჟეთ» მონათლა. გაჩნდა ამით შორის ქიშპობა, რომელიც დაბოლოავდა სან-რემოს კონფერენციით, სადაც განსაზღვრულ იქნა საფრანგეთ-ინგლისის გავლენათა სფეროები. თითქო ყველანი შეთანხმდნენ და დაკმაყოფილებულ იქნენ. მხოლოდ იტალიის წარმომადგენელმა სთქვა: «ომი მოგელით მცირე აზიაში. და იტალია არ გაგზავნის არც ერთ ჯარისკაცს და არ დახმარავს არც ერთს ლირას. თქვენ წაართვით ოსმალეთს მათი წმიდა ქალაქი ადრიანოპოლი, თქვენ დაუქვემდებარეთ მათი სატახტო ქალაქი უცხოეთის ზედამხედველობას, წაართვით ნავთსადგურები და უდიდესი ნაწილი მათის მიწა-წყლისა, ხუთი ოსმალეთი დღევანდელი, რომელთაც თქვენგან ამოარჩევთ, მოგიწერენ ხელს ხელშეკრულობაზე, მაგრამ მას არ იცნობენ არც თურქის ერი, არც მისი პარლამენტი».

ოსმალეთის ნაციონალისტები, რომელნიც მიმხვდარი იყვნენ, რასაც უქადა დასავლეთი, მცირე აზიის შუაგულში ემზადებოდნენ წინააღმდეგობისთვის. ძველმა მეთაურმა-ნაციონალისტებმა თავს უშველეს გადაეფარდნენ; მაგ. ენვერ-ფაშამ გადაიარა ამიერ კავკასია და რუსეთში გადაიშალა. მაგარიამ გამოჩნდნენ ახლები. განსაკუთრებით. დიდათ ნიჟიერი მხედარი მუსტაფა ქემალ ფაშა. ქემალმა მოაწყო ჯარი, გაიჩინა სატახტო ქალაქი და წინააღმდეგა მოკავშირეთ. გაილაშქრა კილიკიაში საფრანგეთის ჯარების წინააღმდეგ და დიდი ზიანიც მიაყენა.

არაბეთიც თავის მხრით ემზადებოდა ადგომას. დამსკოში მოხდა კონგრესი, რომელმაც სირიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და აირჩია მეფედ ფაისალი. ამა ალაფთოვანა ყველა არაბული პროვინცია.

ამ ამბებმა გამოიწვია მანდატების მატარებელ სახელმწიფოების წინააღმდეგობა. განსაკუთრებით თავგამოდებული მოქმედება დაიწყო საფრანგეთმა, გენერალ გურომ 100.000 ჯარის კაცით დაიმორჩილა მთელი სირია სულ მოკლე ხანში. ინგლისს, რომელსაც აგრეთვე 100,000 კაცისაგან შემდგარი ჯარი ყავდა მესოპოტამიაში, ძლიერ გაუჭირდა აჯანყების ჩაქრობა.

ამასობაში მოკავშირეთ დაიპირეს სტამბოლი, რაც ძლიერ ადვილი იყო, რადგან გარშემო ქვეყნის სამხედრო გემები იდგა. უარი ათქმევინეს სულთანს ქემალთან ერთობაზე, ამოარჩევინეს დღევანდელი



მოკავშირეთაგან მომზადებულ ხელშეკრულების ხელის მოსაწერად. არ იყო ადამიანი, რომლისათვისაც ცხადი არ ყოფილიყო, რომ ყველაფერი ეს წმიდა კომედია იყო, რადგან სტამბოლში სულთანი-დგან მოკიდებული უკანასკნელ მოხელემდე ყველა ისეთივე ნაციონალისტი იყო, როგორც ქემალი.

მოკავშირენი, ანუ საფრანგეთ-ინგლისი, რადგან სხვა აღარავინ დარჩა, დიდ ვასაჟირში ჩავარდნენ. 200.000 კაცი არ კმარადა ქემალის დასამარცხებლად; ფრანგულ შტაბის შეფასებით, სულ ცოტა 300 ათასი კაცი იყო საჭირო. აქ გამოდის სცენაზე საბერძნეთი. ვენიხლოსმა, რომელსაც შეპირდნენ დიდ ტერიტორიას მცირე აზიაში, გადმოსხა სმირნაში 100.000 ჯარის კაცი.

უშველებელი სივრცეზე გაფანტული ბერძნეთ ჯარი ვერ ბედავდა გადაწყვეტ ბრძოლებს. ერთდებოდა მათ ქემალიც. ორივე მხარე სანგრებში ჩაძვრა და ასეთი ყოფა დიდ ხანს ვაგრძელებოდა, რომ საბერძნეთში არ მომხდარიყო ამბები, რომელმაც ფერი უცვალა მდგომარეობას. 1912 წლიდან თითქმის განუწყვეტელმა ომის წარმოებამ მოლალა ბერძნები, და 1920-ის მიწურულში მომხდარ არჩევნების დროს მათ გადაადგეს ვენიხლოსი, ხელახლა გაამეფეს კონსტანტინე, სამის წლის წინად გადაყენებული მოკავშირეთა მიერ, და ამრიგად ჩაფუშეს საერთო გეგმები, რადგან თუმცა კონსტანტინემ განაგრძო ოსმალეთთან ომი, მაგრამ არა როგორც ინგლისის საფრანგეთის მოკავშირემ, არამედ ცალკე და დამოუკიდებლად.

ამასობაში ქემალი მოკავშირეთ ეძებს. დაუახლოვდა არაბებს. გუშინდელ ოსმალეთის მტრებს, და ამის მიზეზი იყო საფრანგეთ-ინგლისის პოლიტიკა. «არაბები აუჯანყდნენ ოსმალეთს, ამბობს ის, ვინც იყო არაბთა რევოლუციის სულის ჩამდგმელი, პოლკ. ლავრანსი, არა იმიტომ, რომ ოსმალეთის მთავრობა სხვაზე ბევრად ცუდი ყოფილიყოს, არამედ დამოუკიდებლობის მოსაპყებლად. სისხლი იმისთვის კი არ უღვრიათ, რომ ქვეშევრდომობა შეეცვალათ, არამედ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შესაქმნელად». არაბ-ოსმალთა კავშირს არ აღიარებდნენ საჯაროდ არც ქემალი, არც გადაყენებული მეფე ფაისალი, მაგრამ ბრძოლაში არაბები და ოსმალოები ერთად იყვნენ. ეს მოკავშირენი არ კმაროდნენ. ქემალი ეძებს დახმარებას ამიერკავკასიის და სპარსეთის თათრებში, უახლოვდება ბოლშევიკურ რუსეთს, რომელსაც სხვა არა უხდა ოლღად დასავლეთ ერებში ჯანყი გამოიწვიოს, და ნამდვილ დამხმარე მოკავშირეს პოულობს ამათში 1920-სა და 1921 წლ—ში სამხრეთ რუსეთში და ამიერკავკასიაში მომხდარ ამბების შემდეგ, როდესაც გაიხსნა პირდაპირი გზა მოსკოვსა და ანგორას შუა. ამას მოყვა ქემალის გამარჯვება და ახალი თურქეთი.

დასასრული.

გ ე რ მ ა ნ ი ლ ა ნ

მ ე ლ ა რ დ ბ ე რ ნ შ ტ ა ი ნ ი.

გერმანიის სოციალდემოკრატიამ თავისი უხუცესი წევრი. უდიდესი წინამძღოლი, მწერალი და ადამიანი—ედუარდ ბერნშტაინი—დაჰკარგა.

ძველ გენერაციიდან პარტიას შერჩა მხოლოდ გარდაცვალებულის მეგობარ თანამგზავრი და რიგალი—78 წლის კარლ კაუციკი.

ცხოვრება და სახელი 83 წლის ბერნშტაინის ისტორია არის გერმანიის სოციალდემოკრატიისა ამ 50 წლის განმავლობაში.

ბისმარკ-პუტკამერის «სოციალისტების კანონი», ციურხის «სოციალდემოკრატია», რომლის წინამძღვე სასტიკი ბრძოლა მაშინდელ გერმანიის რეაქციონისათვის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა, ლონდონი, სადაც ის ბებელთან დაკაუციკისთან ერთად იშვიათი სტუმარი იყო ჯერ კარლ მარქსისა და შემდეგ ძლიერ ხშირი ენგელსისა; დაეცმა «სოციალისტების კანონისა» და ბიულევის დროს დაბრუნება სამშობლოში 29 წლის ემიგრაციის შემდეგ. «რევიზიონიზმი», ომი, რევოლუცია,—ყველა ეს მომენტები ერთ უმთავრეს ფიგურად ჰსდინა ედუარდ ბერნშტაინის გერმანიის სოც.-დემ. პარტიაში. (და არა თუ მარტო იქ:—საზოგადოთ უკანასკნელ ათეულ წლების პოლიტიკურ ცხოვრებაში), რომლის მნიშვნელობა კაუციკისთან ერთად მარქსის, ენგელსის, ლასსალის და ბებელი-სა უდრის.

«აიხენაშელების» და «ლასსალიანელების» გაერთიანების დროს გოთაში 1875 წელს პირველთა მომხრე, მისი «რევიზიით» ბერნშტაინი მეორეთ გამმართლებელი შეიქნა.

გერმანიის სოც.-დემოკრატიულ მოძრაობის ორ მამათმთავართა შორის არსებულნი თეორიული და პრაქტიკული აზრთა სხვაობა მან ლასსალის სასარგებლოდ გადასჭრა და მარქსისტულ დოგმის მაგივრად მისი მეთოდი მიიღო (ეს მომენტი განსაკუთრებით აღნიშნა «ფორვერტსი»ს შეფ. რედაქტორმა შტამფერმა თავის მშვენიერ მოხსენებაში ბერნშტაინის ნეშტის დაწვის დღეს).

— ედუარდ ბერნშტაინმა თავის «რევიზიონიზმით» — «ყველაზე უფრო ინტერნაციონალისტმა მთელ ინტერნაციონალში» — გერმანიის პარტიას ახალი გზა უჩვენა: — ერის, სახელმწიფოს, კლასის ცხოვრების თეორიისა და პრაქტიკაში —, რომელიც მან დიდი უმრავლესობით მაშინ უარჰყო.

ომის შემდეგ, როდესაც წინამდევობები ერთმანეთს დაუახლოვდნენ, როდესაც პირველ რიგში მოქმედების საკითხები დადგნენ, «პარტიის პატრია რქის» შეხედულება არსებითად იმ ნიადაგად გადაიქცა, რომელზედაც გერმანიის სოციალდემოკრატიამ მთელი თავისი პოლიტიკური პრაქტიკა ააშენა.

და ეს ხაზგასმით აღნიშნა ედ. ბერნშტაინის მე-80 წლის თავზე ისეთმა ჰკვიანმა და ავტორიტეტულმა პირმა პარტიაში, როგორც იყო ჰერმან მიულერი.

ერთხელ, არ მაჩავს რა შემთხვევის დროს ედ.

ბერნშტეინმა უორესი და ამსტერდამის კონგრესი გაიხსენა და სთქვა: საინტერესოა დღეს დავსვათ საკითხი, ვინ იყო მაშინ მართალი:—ბებელი თუ საფრანგეთის დიდი სოციალისტი-ო?..

მთელს მოღვაწეობას ამ დიდ სოციალისტისას ახასიათებდენ: ადამიანობა, განსაკუთრებული გულკეთილობა, სიმართლე და სიყვარულ-თანაგრძნობა ყოველ დაჩაგრულ-დატანჯულისადმი, თავისუფლება-წართმეულისადმი. და აქ გულწრფელობა მისი განუსაზღვრელი იყო...

რაიხსტაგის კულუარები... მოდის ამბავი რატუნაუს მოკვლის შესახებ... საერთო სიჩუმე ჩამოვარდება ერთ წუთს... უცებ ედ. ბერნშტეინი, 72 წლის მოხუცი, გაექანება ნაციონალისტ კლდერისისაკენ, წგდება მწს და ჰაერს გაარღვევს სასწარკვეთილი, გულიდან ამოხანხეთქი ყვირობი: «თქვენ ხართ ნამდვილი მკვლელი ვალტერ რატუნაუსი»ო... კვლავ საშინელი სიჩუმე ჩამოვარდება... დიდი ხანი ხმის ამოდებას ვერავინ ჰბედავს...

განსაკუთრებული იყო ედ. ბერნშტეინის სიმპატი-სიყვარული საქართველოს მიმართ...

მახსოვს კრება 1923 წლის ივნისში, ბერლინის კოლონიის მიერ ვერაგულად დახვრეტილ ქართველ პატრიოტების ხსოვნის აღსანიშნავად მოწყობილი...

ედ. ბერნშტეინი ლაპარაკობდა: საქართველო დღეს დამონებული, შეკრულია ბოლშევიკების მიერ; მაგრამ არ გაიტყვხთ გული: არ შეიძლება თავისუფლების, ამ თავისუფლებისადმი ღტოლვის დიდი ხნით შებორკვა. საქართველოს უნდა ახსოვდეს ძველი თქმულება თავისუფლებზე: «ich war, ich bin, ich werde sein» («მე ვიყავი, ვარ და ვიქნები» ო).

ჰიტლერში-პაპენი-ჰუგენბერგი.

აღსდგა პარტიატურის ფრონტი: ნაციონალისტ-სოციალისტებმა და გერმანიის ეროვნულ პარტიამ ფონ-პაპენის შუამდგომლობით და შუამავლობით შეადგინეს მთავრობა ჰიტლერ-ჰუგენბერგ-გოერინგის. თვით პაპენმა ჯილდოთ ვიცე-კანცლერობა მიიღო.

დავიწყებულია ყველაფერი, რასაც ასე ახლო წარსული აქვს: შეუთრებლობა, ოპოზიცია, უშვერი ლანძღვა-გინება.

ვაიმარის კონსტიტუციის და მის დამცველის წინამდევ ბრძოლის სურვილმა მთელი ანტირესპუბლიკანური ფრონტი გააერთიანა.

რაიხსტაგი დახურეს თითქოს იმ საბუთით, რომ შეუძლებელი შეიქნა მთავრობისათვის აუცილებელ უმრავლესობის შექმნა,—მაშინ, როდესაც ამ უმრავლესობისათვის საჭირო ცენტრთან და ბავარიის პარტიასთან ამის შესახებ სერიოზული მოლაპარაკება არც კი ყოფილა. ეს ორი პარტია, «როგორც ვაიმარული» და ამიტომ «არა საიმედო» ამოშალეს სიიდან...

ახალი არჩევნები დანიშნულია 5 მარტს... საშინელი რეაქციაა გამეფებული... თუმცა მთავრობა კოალიციურ პრინციპზეა აშენებული და ნაც.-სოციალისტების წარმომადგენლები უმცირესობაში არი-

ან,—ტონის მიმცემი ჰიტლერი არის, რომლის მიზანია, ეტყობა, ჰინდენბურგის პიროვნება მიჩქმალს და, როგორც ერთი გაზეთი ამბობს, მუსიკითა და იარაღის ჩხარუნით თავის პარტიას მომავალ პარლამენტში უმრავლესობა მოუპოვოს და ამით უკონტროლო ბრძანებლობისათვის, სრულ დიქტატურისათვის ნიადაგი შექმნას.

გერმანულ ეროვნულ პარტიის მიზანი კი მონარქიის რესტავრაცია არის. ეს წინამდევობა ამ ორ პარტიერთა შორის არსებობს, მაგრამ დღეს ისინი მხოლოდ ერთით არიან დაინტერესებული: ოპოზიციის, ე. ი. კომუნისტების და განსაკუთრებით სოც.-დემოკრატიის განადგურებით. ამათ მმართველები, უფრო დაფარულად, ცენტრსაც უმატებენ. კომუნისტურ პარტიას სიამოვნებით უკვე დღეს დაჰკეტენ, რომ მისი არსებობა სწორეთ სოციალდემოკრატიის წინამდევ არ სჭირდეთ:—ბრძოლისათვის—არჩევნებამდე და არჩევნების დროს. რომ დაჰკეტონ,—ვაი თუ კომუნისტურმა ამრჩევლებმა სოციალდემოკრ. პარტიას მისცენ ხმაო. საღი მოსაზრება!

ბრძოლა სასტიკი, დაუზოგველი იქნება. ვინ გაიმარჯვებს?! მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აპარატი აშკარა რეაქციონურ და ნაციონალისტურ პარტიების ხელშია,—ამ კოალიციას ძლიერ გაუძნელება მომავალ რაიხსტაგში უმრავლესობის შექმნა, მით უმეტეს რომ ნაციონალ-სოციალისტების ამრჩევლებში პაპენ-ჰუგენბერგთან (რომელთანაც გუშინ ასეთი გაჩაღებული ბრძოლა იყო) კოალიცია დიდ წინამდევობას იწვევს და უკმაყოფილებას ჰქმნის...

და მაშინ აშკარაა:—ჰიტლერი რაიხსტაგის დიდი ხნით დახურვას, შეიძლება სამუდამოდ, და თავის დიქტატურის გამოცხადებას შეეცდება.

აკი უკანასკნელ არჩევნებს უწოდებს ჰიტლერი მომავალ არჩევნებს! წინააღმდეგება ამას პრენიდენტი ჰინდენბურგი?! შესაძლებელია. მაგრამ... ჰიტლერი მას არ უნდოდა,—ესლა მრჩევლთა წყალობით ის მიიწვია, პაპენი არავის უნდოდა—მოიწვია, შლაიხერი გაუშვა... ძნელი სათქმელია დღეს, რომელი რჩევა, რომელი კომბინაცია გაიმარჯვებს ხვალ: ჰინდენბურგის, რომლის უკან ჯერ კიდევ ჯარი და შტალ-კელში სდგას თუ ჰიტლერის მისი შტურმებით. ორივე მიუღებელი შესაძლებლობაა:—ერთი მეტად, მეორე ნაკლებად (რასაკვირველია პირველი).. ერთის თქმა კი შეიძლება დღესაც:—დემოკრატიის მოსპობა, ესლა არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ წყობილების განადგურება სასტიკ წინამდევობას გამოიწვევს ყოველ საშუალებით... ამას ყველა გრძნობს, ყველა ხედავს...

გერმანია საშინელ სისწრაფით მიექანება სამოქალაქო ომისაკენ: 20 ივლისის გაღრმავებით და გაფართოებით განმეორება ხალხის სურვილის წინამდევ შეუძლებელი დარჩება... რესპუბლიკის, გერმანიის მომავალი დამცველნი «რკინის ფრონტის» გარშემო იყრიან თავს: მისი ხერხემალი პროფესიონალური კავშირები, მისი თავი გერმანიის სოციალდემოკრატიია.

მ.—ანი.

ბერლინი—თებერვალი.



### ბ ი ზ ლ ი ო ზ რ ა ზ ი ა

ნ. ყორდანიას. «დემოკრატია».

ამაწლის იანვარში გამოვიდა ნ. ყორდანიას 64 გვერდიანი წიგნაკი «დემოკრატია». თემა მეტათ დროული და საინტერესოა. ყველა ერისა და პარტიის ცხოვრებაში იგი დღეს აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. მასზე სწორედ და ლაპარაკობენ დემოკრატიის მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც. დემოკრატიას, როგორც მართვა გამგეობის სისტემას არკვევენ სახელმწიფო უფლების სპეციალისტებიც. მას იცავენ და აკრიტიკებენ პრაქტიკული პოლიტიკური მოღვაწენიც. ერთი სიტყვით, პოლიტიკური დემოკრატია დღეს ის მთავარი ფაქტურია, რომელშიაც თავს იყრის თანამედროვე პოლიტიკის ბრძოლა. ამით აიხსნება ის, რომ ევროპისა და ამერიკის ლიტერატურაში არასოდეს ამდენი არ უწერიათ ამ თემაზე, რამდენსაც ეხლა სწორედ. საკითხის გარკვევაში თავის წვლილის შეტანა სცადა რუსულმა აზროვნებამაც. მიუხედავად ამისა, კითხვა ისევ სადაოა და ასე იქნება მუდამ, სანამ კი იარსებებს პოლიტიკური ბრძოლა.

ნ. ყორდანიასაც, როგორც თვითონ ამბობს წინასიტყვაობაში, თავისი წიგნი ევროპის მკითხველისათვის დაუწერია. მიუხედავად ამისა, იგი ქართველი საზოგადოებისათვის არამც თუ ზედმეტია, არამედ საპირობებსაც წარმოადგენს. ქართულ ენაზე ამ თემაზე ძლიერ ცოტა არის დაწერილი და რაც არის, ისიც ზერეულად და გაკვრით. ჩვენში მას არკვევდნენ მაშინ, როცა დემოკრატიის სახელით რუსეთის თვითმპყრობელობას ვებრძოდით. ეს არ იყო ძნელი; დემოკრატიის უპირატესობა თვითმპყრობელობასთან შედარებით, ადვილი გასაგები იყო. დღეს ვითარება ძირიანად შეიცვალა. დემოკრატიას გაუჩნდა მტერი მარცხნიდან, გუშინდელი მისი დამცველი, დღეს ბოლშევიზმის სახელით მას ანადგურებს და შეაქვს დემოკრატიის რიგებში არევა-დარევა.

მემარჯვენე მტერმაც შესცვალა მის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა და როგორც სამართლიანად შენიშნავს ავტორი, დღეს დემოკრატიას მარჯვნიდან ებრძვიან არა სახელითა ღვთისათა და მეფის დროშით, არამედ—სახელით ხალხისა და ძლიერი პიროვნების დროშით. მარცხნიდან ბოლშევიზმს და მარჯვნიდან—ფაზიზმს, მუშების, გლეხებისა და საერთო მთელი ერის სახელით მიაქვს იერიშები დემოკრატიაზე. ეს ბრძოლა უშუდგო არ არის. ზოგან მტერმა ფაქტიურად დაამარცხა დემოკრატია (რუსეთი და იტალია) და მის მაგიერ დიქტატურა შემოიღო, ხოლო სადაც ფიზიკურად ვერ დაამარცხა, იქ რყევა და ორუფობა შეიტანა თვით დემოკრატიის ბანაკში.

მართალია, საქართველოს დემოკრატიას კარგი წარსული აქვს და დიდი ბრძოლები აქვს გადახდილი ამ ნიადაგზე. დემოკრატიის დროშით დაამარცხა მან თვითმპყრობელობა და რევოლუციამ ამ გზით წაიყვანა, ამ დროშით გამოაცხადა საქართველოს და მოუკიდებლობა და ამავე დროშით იბრძვის მის გა-

სანთავისუფლებლად დღესაც, ამ დროშით ებრძვის იგი ბოლშევიზმსა და ცდილობს სოციალური სამართლიანობის დამყარებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი, როგორც მებრძოლი დემოკრატია, დღეს ყველაზე უფრო საპირობებს გარკვეულ აზრსა და შეხედულებას ამ საკითხზე. ასეც რომ არ იყოს, როგორც თვით ავტორი შენიშნავს, «ამ სენისაგან არ არის დაზღვეული არც ერთი ერი, რა გინდ ის დღეს საღათ გამოიყურებოდესო». მით უფრო შეიძლება ეს ითქვას ქართველ ერზე, რომელსაც მეტად ცუდ პირობებში უხდება არსებობა. ცხადია, ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა «დემოკრატიის» დასმული კითხვები ფართოდ უნდა დაამუშავონ, გარკვიონ და მით ქართველ დემოკრატიას ბრძოლა გაუადვილონ.

ნ. ყორდანიას თავის წიგნში ბევრ საინტერესო საკითხებს ეხება. მის მიერ წამოყენებული ზოგიერთი დებულება ახალიც არის და მასთან ერთად სადაოც. ის თავისებურად მოკლედ და მკაფიოდ აყალიბებს აზრებს და მკითხველს უშლის წინ დემოკრატიის მომავლის ახალ პრესპექტივებს. ბევრს ძველ აზროვნებაზე აღზრდილს და მიჩვეულს, ნ. ყორდანიას მიერ წამოყენებული ზოგიერთი დებულება შეიძლება კიდევ ეხამუშოს და ერესათაც მოეჩვენოს. მაგრამ ის, ვინც ადევნებს თვალყურს დემოკრატიის გარშემო ატეხილ თანამედროვე კამათს და მსჯელობას, დაგვეთანხმება მასში, რომ აქ დასმული კითხვები აქტუალური არიან და გადაჭრას ითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში დღევანდელი საზოგადოება კიდევ დიდხანს დარჩება ჩიხში მომწყვდიული. და რომ აქედან თავი დააღწიოს კაცობრიობამ, ამისათვის, ავტორის აზრით, საჭიროა: «ერთი გამოსავლის ჩვენება. ეს არის სახალხო დემოკრატიის მთლიანობის აღდგენა, მისი დაპნული წყებების თავის მოყრა და ერთ ძლიერ ფრონტად გადაქცევა. ეს კი შესაძლებელია სალი დემოკრატიული მსოფლმხედველობის დროშით, გახრილი დემოკრატიული ხაზის გამოსწორებითო».

მაგრამ მაგარიც ის არის, რომ «სალი დემოკრატიული მსოფლმხედველობა» დღეს ყველას თავისებურად ესმის და იგი, სხვას რომ თავი დაეანებო, თვით მუშათა კლასში და სოციალისტურ წრეებში, რომლებიც დემოკრატიის მთავარ დასაყრდნობ ძალას წარმოადგენენ ევროპაში, დიდ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. თვით ავტორი უფრო უახლოვდება სოციალისტური ინტერნაციონალის მემარცხნე მიმდინარეობას. იგი დასაკვნის: «მიმდინარე ისტორიულ პერიოდის ძირითადი საკითხია არა რეფორმები, არამედ ძალაუფლება; ვისაც ის დარჩება და საზოგადოებას დაიმორჩილებს—სახელმწიფოც მისი სახის და ინტერესების გვართ აუწყობა».

როგორც ზევით აღვნიშნე, წიგნში ბევრი საინტერესო და სადაო საკითხებია წამოყენებული, მაგ. წარმომადგენლობითი პარლამენტარული სისტემის პროფესიონალური წარმომადგენლობითი შეცვლა, გერმანიის დემოკრატიის კრიზისის ახსნა და სხვა. ყველა ამ კითხვების განხილვას ჩვენ აქ არ შეუძლებ-

ბით, ეს შეუძლებელიც არის სარეცენზიო წერილში. სასურველი კი არის, რომ ჩვენს პრესაში ამ კითხვებისგარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოხდებოდეს და ამ წიგნს ჩვენი საზოგადოება ფართოთ გაეცნობოდეს.

წიგნი კარგ ქალღმერთსა დამეჭდილი და ლამაზთ არის გამოცემული. ღირს 5 ფრ.

ნ. ჭ.

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი**

(ქუზნალ-გაზეთებიდან)

დასავლეთ საქართველოში იანვრის დამლევს ძლიერ დიდი თოვლი მოვიდა.

— ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ბიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელად დანიშნა პროფ. ბერიტაშვილი, გეოლოგიის ინსტიტუტის—პროფ. ჯანელიძე, ენისა და მატერიალური კულტურის—ნ. მარი, ლიტერატურის პროფ. კეკელიძე და გეოგრაფიის—პროფ. ჯავახიშვილი.

— დ. არაყიშვილმა დასწერა პირველი ქართული სიმფონია დიდი ორკესტრისათვის. სიმფონია შესდგება ხუთი ნაწილისაგან.

— ი. გრიშაშვილს დაუწერია რომანი «ვარდნილი».

— საქართველოს მთელ რიგ რაიონებში, ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში არ ქონდათ მიღებული მასწავლებლებს 3-4 თვის ჯამავირი.

— ბოლშევიკებმა დაკვრითი წესით დააჯალეს მოსწავლე პიონერებს ძველი ქალაქისა და ჩვრების შეგროვება.

— ჩეკის 15 წლის თავზე ბოლშევიკებმა გამოაშვებიეს «ნორჩი ლენინელის» სპეციალური ნომერი ძერქინსკის სურათით, სადაც ჩეკისტებს ქებას ასხამენ.

— საქართველოში ძლიერ გავრცელებულია ტიფი და ყვავილი.

**ს ა რ ბ ი ნ ი ს ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა შ ო რ ი ს**

მანჯუ-გოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ში-ლუი-ბენმა პრესის თანამშრომლებს ხარბინში განუცხადა, რომ ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარემ ექიმმა ჯიშკარიანმა ითხოვა, რათა იგი ვიცნოთ მის თანამემამულეთა რწმუნებულად და მათი ინტერესების დამცველად. ამას ში-ლუი-ბენმა დასძინა, რომ საქართველო ოფიციალურად იცვნეს სახელმწიფოებმა და ნაციათა ლიგა ფიქრობს, რომ საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა ჯარების მიერ დროებითა.

**ვეფხის ტყაოსანი კუსულად**

გამოვიდა რუსულ ენაზე პოეტ ბალმონტის თარგმანი ვეფხის ტყაოსანი, გამოცემა დ. ხელაძის. წიგნი იშვიათის სილამაზით და მხატვრობით არის დაბეჭდილი. უნდა ითქვას, რუსულ ენაზე დღემდის არ არსებობდა ასეთი მდიდარი გამოცემა. ვრცლად შემდეგ ნუმერში.

**„სიბრძნე-სიცრუის წიგნი“**

Die Weisheit der Lüge

გამოვიდა გერმანულ ენაზე მ. წერეთლის გადათარგმნილი საბა-სულხან ორბელიანის «სიბრძნე-სიცრუის წიგნი», გამომცემლობა არჩილ მეტრეველისა. წიგნს წინ უძღვის მ. წერეთლის შედგენილი ბიოგრაფია ს. ორბელიანისა და ვრცელი ისტორიულ-ლიტერატურული განხილვა ნ. ავალიშვილისა. დაბეჭდილია კარგ ქალღმერთსა და ფრიად ლამაზად. დართული აქვს ავტორის მშვენიერი სურათი და სათაური მორთულია ქართული ორნამენტით.

ბ. მეტრეველს განუზრახავს გამოსცეს გერმანულად აგრეთვე ვეფხის-ტყაოსანი, ქართლის ცხოვრება, საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა, და სხ.

ჩვენ დიდის სიხარულით აღვნიშნავთ დაწყებულს საქმეს დასულითა დაგულით ვუსურვებთ მას სრულს წარმართებას. ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდს საქირებას წარმოადგენს დღეს, რომ გავაცნოთ ევროპელებს ჩვენი ისტორია და საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებნი. ჩვენს თავს ყველაზე უკეთ ამით გავაცნობთ უცხოელებს და დიდს ინტერესსაც აღუძრავთ.

**I B E R I C A**

«რევიუ დე ლ'ორ. კრეტ.»-ში იბეჭდება ჰარვარდის (ამერიკა) უნივერსიტეტის პროფ. რობერტ ბლეიკის ახლად შედგენილი აღწერა ათონის ქართულ ხელნაწერებისა. ჯერჯერობით აღწერილია 16 ხელნაწერი.

— «ჰარვარდის თეოლოგიურ მიმოხილვაში» დაიბეჭდა იმავე ბლეიკის ვრცელი აღწერა კემბრიჯის უნივერსიტეტის ქართული პოლიმესტის, იერემიას წინასწარმეტყველობის ხანმეტი ტექსტისა.

— ფრანგულ «რევიუ დ'ასიზოროლ. ე დ'არკეოლ. ორიენტ.»-ში დაიბეჭდა მ. წერეთლის Etudes oura-rteenes.

**წ ა რ ი ლ ი კ ა დ ა მ ი ც ი ს ი მ ი ა რ თ**

ბატონო რედაქტორო,

გთხოვთ ნება მომცეთ—დიდათ პატივცემული თქვენი გაზეთის საშვალებით, ჩემი უღრმესი მადლობა გადავცე ყველა იმათ, რომელთაც, როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში, ჩემი და ჩემი ოჯახის მწუხარება გაიზიარეს, მარად ჩემთვის ტანჯული ჩემი ძვირფასი დედის—თეო გელახანაისი—ჩემგან დაუტირებლათ, გარდაცვალების გამო.

ბ. გელა-გელახანია.